მაცნე
სამტრედიის

გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ gmail.com

N34 (9321) | 10 დეკემბერი. 2019 წელი | ფასი 50 თეთრი

ზვიად შალამბერიძემ აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა



2

ძალა ევროპაშია!

3

4

თანაღგომით განათებული ქვაზე ღაღებული მაღლი "ღამპარში"

ქართული სკოლების დირექტორების წარმატებული ვიზიტი ამერიკაში

5

სიკეთის ქალაქი სამტრედია!

ინტელექტუალური ჩემპიონატი კვლავ უმაღლეს დონეზე ჩატარდა

6

ზვიად შალამბერიძემ აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელთან მაცნობითი ხასიათის შეხვედრა მართა

ნინო ნანიტაშვილი

სახელმწიფო რწმუნებულმა იმერეთში, ზვიად შალამბერიძემ, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებელთან საქართველოში ელიზაბეთ რუდთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა. მხარეებმა აშშ-სა და იმერეთის რეგიონთან თანამშრომლობის საკითხები და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიმართულებები განიხილეს, ასევე მხარეში ტურიზმის გაზრდილ პერსპექტივებსა და მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე ისაუბრეს: "ძალიან საინტერესო და ინფორმაციული შეხვედრა იყო. ვისაუბრეთ სხვადასხვა თემაზე, მათ შორის იყო საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა. ხაზი გაესვა, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ქუთაისში საერთაშორისო უნივერსიტეტის მშენებლობას.

აღნიშნა, რამდენად მნიშვნელოვანია იმერეთის რეგიონისთვის და ტურისტების მოზიდვის თვალსაზრისით წყალტუბოს რეაბილიტაცია. ყურადღება გავამახვილეთ აეროპორტის მნიშვნელობაზე რეგიონში. შეხვედრაზე, რა თქმა უნდა, საუბარი გვქონდა პოლიტიკურ ვითარებაზე. ელჩის მოვალეობის შემსრულებელს მივაწოდე ინფორმაცია იმის შესახებ, ზოგადად რა სიტუაციაა იმერეთში." _ განაცხადა ზვიად შალამბერიძემ.

ელიზაბეთ რუდმა სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებაზე გაამახვილა ყურადღება, რაც მისი განცხადებით, ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს: "ჩემთვის დიდი პატივია, რომ დღეს აქ ვარ, მქონდა ძალიან კარგი დისკუსია იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულთან, ჩვენ ვისაუბრეთ აშშ-სა და საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რეგიონის ურთიერთთანამშრომლობის საკითხებზე. განვიხილეთ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიმართულებები და ასევე, შევეხეთ იმ გამოწვევებსა და პრობლემებს, რომლებიც ამ ეტაპზე საქართველოს პოლიტიკურ ველზეა. ვისაუბრეთ სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მნიშვნელობაზე, დემოკრატიის ხარისხის გასაუმჯობესებლად აუცილებელია ამ სექტორის უფრო მეტი ჩართულობა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში. გარდა ამისა, განვიხილეთ ყველა ის საკითხი, რომელიც საქართველოს გაძლიერებისკენ არის მიმართული".

სახელმწიფო რწმუნებულმა მადლობა გადაუხადა აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელს იმერეთის რეგიონში საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ამერიკის სახელმწიფოს მიერ ბევრი სხვა მიმართულებით განხორციელებული თუ მხარდაჭერილი პროექტებისთვის.

"სექსუალური შევიწროვება ადამიანის უფლებების დარღვევაა"

ნინო ნანიტაშვილი

რამდენიმე დღეა, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი 16 დღიანი კამპანია მიმდინარეობს ძალადობისა და სექსუალური შევიწროვების წინააღმდეგ. საინფორმაციო კამპანიის სლოგანია "სექსულაური შევიწროება ადამიანის უფლებების დარღვევაა".

ამ კამპანიას საქართველოს პროკურატურაც შეუერთდა და მისი ორგანიზებით ქვეყნის მასშტაბით არაერთი საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა.

სამტრედიის პროკურატურის თანამშრომლები 5 დეკემბერს დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის პროფესიული კოლეჯის სტუდენტებსა და ლექტორ-მასწავლებლებს შეხვდნენ. ისაუბრეს სექსუალური შევიწროების თემაზე და ძალადობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულაციების, საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის შესახებ.

"ღონისძიების მიზანია, საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება, ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა და ამ კატეგორიის დანაშაულის პრევენცია, ასევე მოსახლეობისთვის სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებით კანონმდებლობაში ბოლო დროს განხორციელებული ცვლილებების გაცნობა". _ განაცხადა "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში სამტრედიის რაიონულმა პროკურორმა ნუგზარ ჯიქიძემ.

ცნობისათვის, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 166 პრიმა მუხლში წერია _ საზოგადოებრივ ადგილებში პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს, ან და იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს, გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით. კანონი ამოქმედდა 2019 წლის 10 მაისს.

საჯავახოელ ალექსანდრე ნადირაძეს მაშველები ოჩი ჯოხაა ეძებენ

ნინო ნანიტაშვილი

32 წლის ალექსანდრე ნადირაძის ძებნა ამ დრომდე უშედეგოდ გრძელდება. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯავახოში მცხოვრები ახალგაზრდა მამაკაცი მეზობლებმა ბოლოს 29 ნოემბერს ნახეს. მსხვილფეხა პირუტყვის მოსაყვანად საბალახოზე წასული ალექსანდრე ნადირაძე შინ აღარ დაბრუნებულა.

საგულდაგულოდ დალაგებული მისი ტანსაცმელი თანასოფლელებმა და მაშველებმა მდინარე რიონის პირას ნახეს. როგორც მისი ახლობლები ამბობენ, სუიციდის მცდელობა მას დაახლოებით 5-6 წლის წინ ჰქონია.

29 ნოემბერს დაწყებული სამძებრო სამუშაოები ამ დრომდე მიმდინარეობს. ჩართულია როგორც ადგილობრივი, ასევე რეგიონის სამაშველო სამსახური. კოლეგების დასახმარებლად მეზობელმა მუნიციპალიტეტებმაც გამოთქვეს მზაობა.

"ენაუთქმელი, კეთილსინდისიერი, წესიერი და პატიოსანი" _ ასე ახასიათებს ალექსანდრე ნადირაძეს მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი საჯავახოს თემში. შავლეგ თარგამაძის თქმით, თანასოფლელების თხოვნაზე ალექსანდრე თავს არ ზოგავდა.

სოფელი გულს იწყვეტს ახალგაზრდა მამაკაცის გაუჩინარების გამო. ალექსანდრე ნადირაძეს სახლში მხოლოდ მამა ჰყავს, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლება უყურადღებოდ არ ტოვებს.

"სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში მუნიციპალიტეტის მერი, ვალერიანე ფოცხვერია ადასტურებს, რომ: "მდინარე რიონზე ინტენსიური სამუშაოები ისევ გრძელდება. მდინარეზე კატერები მოძრაობენ, ბათუმიდან მყვინთავები ჰყავთ ჩამოყვანილი, რომელთა საქმიანობას ხელს უამინდობა უშლის. ნაკლებია ხილვადობა. მაშველებს არ ტოვებს საჯავახოს მოსახლეობა. სამტრედიელების გვერდით გვიან ღამემდე რჩება ვანის მოსახლეობა. ბოლო დღეებში თბილისიდან ჩამოსულია სპეციალური მაშველთა ჯგუფი, რომლებსაც თანამედროვე, წყლის სკანერი აქვთ ჩამოტანილი, რითაც ხდება მდინარის ფსკერის დათვალიერება. ამის მიუხედავად, ვერ მოიძებნა დაკარგული ახალგაზრდა".

ადგილობრივები ფიქრობენ, არ არის გამორიცხული, რიონის თვისებებიდან გამომდინარე, გვამი ქვიშაში იყოს დასილული.

ძალა ევროპაშია!

ლევან გაბეჩავა

ვინ იცის, როდის, რომელ პირველ ქართველს გაეპარა მზერა ევროპისაკენ. ევროპული კულტურა, ყოფა ყოველთვის აღაფრთოვანებდა დანარჩენ მსოფლიოს დახვეწილობით, თავისთავადობით. თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, წელთა სვლასთან ერთად, საფიქრალიც კი გახდა გლობალიზაციის პირობებში მცირე ერის შვილები ჩვენი ყოფითა და კულტურით სხვებში არ ავთქვეფილიყავით, საბოლოოდ არ გავმქრალიყავით.

20 წლის წინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ზურაბ ჟვანიას მიერ მაღალი ევროპული ტრიბუნიდან გაჟღერებულმა სიტყვებმა, შესაბამისად იმ დროისათვის შესატყვისმა პოლიტიკამ საფუძველი დაუდო საქართველოს შეუქცევად სწრაფვას ევროპულ სტრუქტურებში. იმ დღიდან 20 წლის თავზე საქართველო ევრო საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა გახდა 6 თვით.

ბედის ირონიითა და დეფაქტო ცხინვალის ხელისუფლების "წყალობით" ამ მოვლენას დაემთხვა არა მარტო საქვეყნო, საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული ექიმის, ბატონ ვაჟა გაფრინდაშვილის 2 თვიანი პატიმრობა დეფაქტო ცხინვალის რეჟიმის მიერ, ე. წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის გამო.

ხმამაღლა გავიძახით, დარწმუნებულებიცა ვართ, რომ ძალა ნამდვილად ევროპაშია, მაგრამ გვაოცებს ამ კონკრეტული ფაქტის ირგვლივ ევროპული სტრუქტურების ძალისხმევის მიუხედავად, სრული უშედეგობა.

ექიმი კვლავ პატიმრობაში რჩება.

გამოდის, რომ სხვათა სიცოცხლის მხსნელ-მკურნალს ვერც საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერის, პარლამენტის თავმჯდომარის, საპატრიარქოს, ვერც ცნობილი ბარსელონას ფეხბურთელთა გუნდის და ა. შ. თანადგომამ და მხარდაჭერამ ვერა და ვერ უშველა.

დიდი გოლიათი, ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი და მისით გულმიცემული დეფაქტო ცხინვალი პოზიციებს არ თმობს.

როგორც იუწყებიან, ექიმ გაფრინდაშვილს 200-ზე მეტი წინასწარ დაგეგმილი ოპერაცია გაუუქმდა. ასე რომ, მისი უკანონო დაკავებით დაირღვა არა მარტო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს სამოქმედოთ შემოღებული ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციის მოთხოვნები, არამედ შეილახა იმ საზოგადოებისა და გულშემატკივართა უფლებებიც, ვინც ამ ხნის მანძილზე თანაუგრძნობს და თანადგომას უცხადებს პატიმრობაში მყოფ ექიმსა და მის ახლობლებს. არაფერს ვამბობთ იმაზე, თუ რას განიცდიან ის პაციენტები, რომელთაც მხსნელად ვაჟა ექიმი მიაჩნდათ და მიაჩნიათ.

მოვლენათა დრამატიზებას ნამდვილად არ ვაპირებთ, თუმცა აშკარად გაოცებულნი ვართ.

რატომ შეიქმნა (დღეის მდგომარეობით) ასეთი უძლური ევროპა და საქართველოს დიპლომატია და რატომ ვერ ხერხდება ექიმის გათავისუფლება?!

ეს რაც შეეხება ბატონ გაფრინდაშვილის შემთხვევას, სხვა ფაქტებიც გავიხსენოთ, რამდენი ადამიანი იქნა გატაცებული ბოლო ხანებში ე. წ. საზღვრის უკანონოდ კვეთისათვის, რამდენს მოუსპეს სიცოცხლე, რამდენის ახლობელს ადინეს ცრემლი. გაუგონარი ამაზრზენი, მიუტევებელია ყოველივ ოცდამეერთე საუკუნეში, ცივილიზაციის არნახული აღმავლობისას.



10 დეკემბერს მსოფლიომ ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დღე აღნიშნა. მრავალფეროვანი ღონისძიებები მიეძღვნა თარიღს. ჩვენ კი, სამწუხაროდ ამაზრზენი ფაქტით გვიწევს ხსენებულ ფაქტზე შეხმიანება.

კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ არაფერი ვთქვათ საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებზე, რომელიც ექიმის მოვალეობის შესრულებისას შეზღუდვებს კრძალავს, შეძრწუნებულნი ვართ და ვაჟღერებთ ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციის მთავარ და უმთავრეს მოთხოვნას:

ყველა ადამიანი თავისუფალი იბადება! დაუშვებელია ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა, შევიწროება, დატყვევება...

გვწამს საერთო ძალისხმევა სასურველ შედეგს გამოიღებს. ექიმი გაფრინდაშვილი გათავისუფლდება. ეს შემზარავი ფაქტი კი, იმ სამარცხვინო ისტორიების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იქნება, რომლითაც "ხშირად გვანებივრებს" რუსეთი.

რა გვჭირს, რა გვუმართუბა?

ლევან გაბეჩავა

ამ დღეებში არცთუ სახარბიელო სტატისტიკა მოვისმინეთ, ქვეყანაში მსხვერპლით დასრულებულ ავტოსაგზაო შემთხვევებს რომ ასახავდა. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ვცდილობ ობიექტური ვიყო. წლების წინ, კერძოდ, ჩვენს ბავშვობაში სკოლებთან, საბავშვო ბაღებთან, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებთან ახლოს დამაგრებული ამკრძალავი თუ მოძრაობის შემზღუდველი ნიშნებიც კმაროდა მძღოლთა გასაფრთხილებლად. მერე წლების სვლასთან ერთად ისე "გავთინეიჯერდით", რომ არათუ ნიშნები, კედლებიც კი გადავლახეთ მანქანებით და...

ბოლო წლებში მხარი ევროპას ავუბით და ჩვენი ქვეყნის ამერ-იმერში, მათ შორის ჩვენს მუნიციპალიტეტშიც მოძრაობის შემზღუდავი "ბუგაროკები" ე.წ. მწოლიარე პოლიციელები დაამაგრეს.

კარგის მეტი არაფერია ამაში, შვებით ამოვისუნთქეთ, განსაკუთრებით იმ მონაკვეთებში მცხოვრებლებმა, არაერთხელ რომ ვყოფილვართ ტრაგიკული შედეგებით დასრულებული ავტოსაგზაო შემთხვევების მხილველნი.

ბუნებრივია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და არა მარტო, ხშირად გვიწევს მგზავრობა-გადაადგილება. გვაოცებს, აღმაშფოთებელია, იმ ტვინამღვრეულთა ქმედება, რომლებმაც ეს შემზღუდავები მოშალეს, რათა მგზავრობა გაიმარტივონ

და დანიშნულ ადგილზე ზესწრაფად მივიდნენ.

მაგალითები? რამდენიც გნებავთ. სამტრედიიდან კულაშისაკენ მიმავალი საავტომობილო გზის მონაკვეთი (ნინოშვილის უბნის ტერიტორია), ლაშა თევზაძის ქუჩა და ა.შ. ა.შ.

ნუთუ იმ ტოტს ვჭრით, რომელზედაც ვზივართ?

განა ჩვენი და ჩვენი შვილების, საზოგადოების უსაფრთხოებისათვის არ იყო ყოველივე გაკეთებული?

რამდენიმე ხნის უკან, რესპუბლიკის ქუჩაზე მაღაზია "სპარის" წინ მართალია დიზაინით არცთუ შესანიშნავი, მაგრამ მაინც, მგზავრთა მოსაცდელი დაიდგა. სხვა წერილის თემაა მგზავრებთან ერთად აქ ძაღლებიც რომ იცდიან, ამჯერად კი, ერთმა ფაქტმა გაგვაოცა.

უკვე ერთ მხარეს გამჭვირვალე კედელი ჩამოღებულია, ქარი და წვიმა მგზავრებს მოსვენებას უკარგავს. დანარჩენი სამი კედელი კი, საფიშე დაფებადაა გამოყენებული. ყიდვა-გაყიდვა, ვაკანსიები, სხვადასხვა განცხადებები, რას არ ნახავთ აქ. ესეც ჩვენი, ჩვენი ახალგაზრდების კულტურაზე მეტყველებს.

დროით, ცოტა უკან დავიხევით და მიმდინარე წლის ზაფხულის მიწურულს სამტრედიაში დედაქალაქიდან ჩამოსული ცნობილი სახეების მიერ გამართული კონცერტის მეორე დღეს, ქალაქის შუაგულში, მომავლის პარკში არსებული ვითარების აღწერას შევეცდებით.

ტაძრიდან, დილის ლოცვებიდან დაბრუნებულმა მომავალის პარკში გადავწყვიტე წუთით შეყოვნება. ჩემი ყურადღება ნარინჯისფერმოსასხამიანი ქალბატონებისა და ბატონების სიმრავლემ მიიპყრო. კომუნალური გაერთიანების თანამშრომლები, როგორც იტყვიან ქუდზე კაცი გამოსულიყო და საქმეც თავსაყრელად გასჩენოდათ. გადაბრუნებული ძელსკამები, ასევე გადაბრუნებული ნაგვით სავსე ურნები, პარკის ტერიტორიაზე მიმოფანტული ნაყინისა და მზესუმზირას შესაფუთი ქაღალდები, ბოთლები, რას არ ნახავდით აქ.

აი, ასე "ლამაზად აღნიშნა" სამტრედიელი ახალგაზრდების ერთმა ნაწილმა ეს მართლაც და ლამაზი, სანახაობრივად დატვირთული დღე.

მკითხველს თავს არ შევაწყენთ მსგავსი ფაქტების მოხმობით, თუნდაც იმიტომ, რომ დაუსრულებლად შეიძლება საუბარი. კომენტარისგანაც თავს შევიკავებთ, ან კი, რა უნდა ვთქვათ, რა უნდა დავარქვათ ასეთ საქციელს?

?!

გვიყვარდეს ჩვენი ქალაქი, გვიყვარდეს ჩვენი თავი, ისე ნუ მოვიქცევით, თავსაც ვავნოთ, სხვასაც და უკულტურო, უზნეო ადამიანებად წარმოვჩნდეთ საზოგადოებაში.

თანადგომით განათებული ქვაზე დადებული მადლი "ლამპარში"

თეა ბაბუნაშვილი

იმ მრავალსაუკუნოვანი დისკრიმინაციისა და უგულვებელყოფის გამო, რასაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები განიცდიან, მათდამი დამოკიდებულების შეცვლა მსოფლიომ უპირველეს გამოწვევად ჯერ კიდევ წინა საუკუნეში მიიღო. 1992 წელს გაეროს მიერ 1992 წელს შშმ პირთა საერთაშორისო დღეც კი დაწესდა. ამ კატეგორიისადმი ახლებურმა მიდგომამ ცხადყო, ეს ადამიანები იმაზე გაცილებით ნიჭიერები და მიზანდასახულები არიან, ვიდრე შეგვეძლო წარმოგვედგინა. ამიტომ დღეს ყველა ვთანხმდებით, იმაზე, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს!

სამტრედია ერთი პატარა წერტილი გახლდათ მსოფლიო რუკაზე, სადაც ისევე როგორც გასულ წლებში, წლევანდელი 3 დეკემბერი აღინიშნა. აღინიშნა ღიმილით და განსაკუთრებული სითბოთი, რომელსაც ყველაზე გულწრფელი ემოციები ახლდა თან. მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახურის ორგანიზებითა და მერიის დაფინანსებით დღის ცენტრ "ლამპარის" აღსაზრდელებს ეწვივნენ მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია, მისი მოადგილე კობა ძიძიგური, კულტურის სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე საკუთარ თანამშრომლებთან, თეა შენგელიასა და ირმა ადამიასთან ერთად.

აქ შემოღებულ ყველა კარს იმედი შემოაქვს, ძალა შემოაქვს ახალი დღის დასაწყებად. სტუმარიც გაუხარდათ და სტუმრებმაც გაახარეს. ანიმაციური სტუდია "მინი და მიკი მაუსის" საჩუქარმა, გმირებმა სხვადასხვა ზღაპრებიდან, კიდევ უფრო გაალამაზა ის დღე. სრულიად უსასყიდლოდ, ზღაპრის გმირებთან გართობა საკუთარ თავზე ამ სტუდიამ და მისმა ხელმძღვანელმა ნათია ჭელიძემ აიღო. საჩუქრად ტკბილეული და ამ ბავშვებისთვის გასართობად საჭირო სხვადასხვა საკანცელარიო ნივთები მუნიციპალიტეტის მერიამ მიიტანა. "განსაკუთრებული ემოციებით, სიყვარულით და სითბოთი სავსე ამ ბავშვებს, განსაკუთრებული ყურადღება სჭირდებათ. ჩვენც შეძლებისდაგვარად ყურადღებას არ ვაკლებთ მათ და მომავალშიც ასე გაგრძელდება. მათი ნიჭისა და უნარების გამოვლინებისთვის საზოგადოებაში ინტეგრაცია აუცილებელია მათთვის. სასიამოვნოა, რომ აქაურობის ხშირი სტუმრები არიან სკოლები და სხვადასხვა სამსახურები. და განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო იმ ადამიანებს, ყოველდღიური კონტაქტი რომ აქვთ მათთან, პედაგოგებს, რომლებიც ყველაზე დიდი იმედი არიან აქაური აღსაზრდელების ხვალინდელი დღის." _ აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ. "დიდხანს გამყვება იმ ტუჩების სითბო, რომლითაც ერთ-ერთმა მათგანმა ლოყაზე მაკოცა." _ ცრემლმორეული საუბრობდა საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია, რომ: "ამ ბავშვებს კიდევ უფრო მეტი ყურადღება და განსაკუთრებული სითბო სჭირდებათ. ის, რასაც ვაკეთებთ ბევრი არაა მათთვის, მაგრამ შესაძლებლობები მეტ საშუალებას არ გვაძლევს. თუმცა, სურვილიცა და მონდომებაც გვაქვს კიდევ უფრო დიდი მზრუნველობა გამოვიჩინოთ მათ მიმართ." კულტურის სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე აღნიშნავდა: " მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებით შეძენილი ამგვარი საჩუქრები ყოველწლიურად მოგვაქვს აქაური ბინადრებისთვის. ჩვენ აქ ხშირად დავდივართ, თუმცა, ეს დღე განსაკუთრებით გვინდა მათთან ერთად აღვნიშნოთ. დღესაც ისე მოვედით, როგორც სხვა დროს და დღესაც მოვეფერეთ "ლამპარის" აღსაზრდელებს." "თუ მოტივაცია არ გაქვს, ასეთ რამეს ვერ გააკეთებ" _ ამბობს შუქია თვალაბეიშვილი, ქალბატონი, რომელმაც საკუთარი შვილის და კიდევ სხვა მისნაირი მოზარდების გამო ბევრი იბრძოლა, რომ სამტრედიას დღის ცენტრი "ლამპარი" ჰქონოდა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 10 წლის წინ, 2009 წელს დაუჭირა მხარი ქუთაისის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრის ამ პროექტს და სამტრედიელ შშმ მოზარდებს საშუალება მიეცათ ადგილზე, საკუთარ მუნიციპალიტეტში ჰქონოდათ ადგილი, სადაც მათთვის საჭირო უნარჩვევებს განავითარებდნენ. დღეს "ლამპარში" დასაქმებული სამი თანამშრომლიდან, შუქია თვალაბეიშვილი ერთ-ერთია. ჰყავთ ერთი მოხალისე პედაგოგიც.

მხიარული დღე ზღაპრების გმირებთან ცეკვა-თამაშით დასრულდა. სიკეთის ლამპარივით ანათებდა საგანგებოდ მორთული ოთახი "ლამპარში". აქ ხომ ისედაც ლამპარივით ანთია ქვაზე დადებული მადლი. ირგვლივ ღიმილი იდგა და კიდევ სიყვარული, მართალი და უანგარო. იქ ყოველთვის დიდი სითბო გზვდება რომელიც, როგორც ყველაზე გულწრფელი ემოცია, დიდხანს გაგყვება სინანულის ცრემლებთან ერთად.

17 დეკემბერს ბარბარობაა, გილოცავთ!

ქრისტიანობაში ბარბარეს კულტი წარმოიშვა და გავრცელდა აღმოსავლეთის მართლმადიდებელთა შორის, მის სამშობლოდ ეგვიპტეს ასახელებენ.

წმინდა ბარბარეს უმთავრესად პატივს სცემდნენ, როგორც ავადმყოფთა მკურნალსა და მხსნელს.

ხალხური წეს-ჩვეულების თანახმად, ბარბარეს სახელობის დღესასწაული ძველი სტილით 4-6 დეკემბერს იმართებოდა და ერთ-ერთ მთავარ წინასაახალწლო ქრისტიანულ დღესასწაულად იყო მიჩნეული.

მორწმუნე ქართველებს წმინდა ბარბარე (ბარბალე) წარმოდგენილი ჰყავდათ როგორც ქალების, ფურების და საერთოდ ბუნების ნაყოფიერების, დედური ძალების მფარველი ასტრალური ქალღვთაება. ეს დღეობა ითვლებოდა აგრეთვე ზამთრის მზის ბუნიობის დღესასწაულად.

რძის ფაფა, ხაჭაპურები, ლობიოს და ნიგვზისგულიანი, ჯვარდასახული ტაბლები, (ე. წ. საბარბარო ტაბლები) და შესაბამისი ლოცვა-ვედრება, მეკვლეობა, ბედობა იყო ამ დღის აღნიშვნის დამახასიათებელი რიტუალებია, რომლებიც დღემდეა შემორჩენილი.

ახალი სტილით 17 დეკემბერს ეკლესია წმინდა დიდმოწამე ბარბარეს იხსენებს.

შესაბამისი ღვთისმსახურება სრულდება ამ დღეს მოქმედ ტაძრებში.

წმინდა ბარბარემ დაიცვას და დაიფაროს განსაცდელისგან სრულიად საქართველო.

ლევან გაბეჩავა

აწვიმე ცვარი მადლისაგან შენისა

საქართველოს ისტორიაში, ქართველ სახელოვან მამულიშვილთა კოჰორტაში განსაკუთრებით ბრწყინავს სახელი და საქმენი საგმირონი წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლისა.

"მე ესერა წარვალ წინაშე ღვთისა ჩემისა და ვმადლობ სახელსა მისსა, რამეთუ არა დამაკლო გამორჩეულთა წმიდათა მისთა, აწ გამცნებთ თქვენ, რათა მტკიცედ სარწმუნოებასა ზედა სდგეთ და ეძიებდით ქრისტესათვის სიკვდილს, სახელსა მისისა ზედა, რათა მოიპოვოთ დიდება წარუვალი". ეს ანდერძი დაგვიტოვა მეფემ და განერიდა საწუთროს.

წმინდა მეფეს იხსენებს ამ დღეებში საქართველოს ეკლესია.

ლევან გაბეჩავა

ქართული სკოლების დირექტორების წარმატებული ვიზიტი ამერიკაში

ნათია ნაცვლიშვილი

საქართველოს რამდენიმე სკოლის დირექტორი ახლახან დაბრუნდა ამერიკიდან, სადაც გაცვლითი პროგრამით იმყოფებოდნენ. ეს პროგრამა ითვალისწინებს საჯარო სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური კოლეჯების ურთიერთთანამშრომლობას. პროგრამში მონაწილეობის უფლება თითოეულმა დირექტორმა კონკურსში გამარჯვების შემდეგ მოიპოვა, გამარჯვებულთა შორის იმყოფებოდა სამტრედიის მესამე საჯარო სკოლის დირექტორი, ვენერა ივანიშვილი, რომელმაც გაიმარჯვა რკინიგზის სატრანსპორტო კოლეჯის მიერ გამოცხადებულ კონკურსში. საქმიანი ვიზიტის შესახებ ქალბატონმა ვენერამ უკვე მიაწოდა ინფორმაცია საკუთარ კოლეგებს, საჯარო სკოლების დირექტორებს, ის უახლოეს ხანებში აპირებს საკუთარი სკოლის მოსწავლეებთან, მშობლებთან და რკინიგზის კოლეჯის წარმომადგენლებთან ერთობლივი შეხვედრა მოაწყოს ამერიკაში დასახული გეგმების რეალიზების მიზნით. “ რადგან ჩვენს მუნიციპალიტეტში ძირითადად რკინიგზა მუშაობს, თბილისის რკინიგზის კოლეჯს წარვუდგინე ჩემი ხედვა, თუ როგორ წარმომიდგენია სკოლებისა და პროფესიული ტექნიკური სასწავლებლების თანამშრომლობა, კოლეჯი არჩევდა თავის კანდიდატს, რომელსაც

წარადგენდა ორგანიზაცია “ვორდ ლინკის” პროგრამაში, რომელიც გაემგზავრებოდა ამერიკაში. მხვდა ბედნიერება, გავიმარჯვე ამ კონკურსში და რკინიგზის კოლეჯთან ურთიერთობას კვლავ ვაგრძელებთ” _ გვეუბნება ქალბატონი ვენერა.

“ვორდ ლინკის” ეგიდით შარშან ამ კურსით ამერიკაში წავიდნენ კოლეჯების ხელმძღვანელები, წლეულს კი, საჯარო სკოლების დირექტორები.

ამ საქმიანი ვიზიტის შესახებ “სამტრედიის მაცნეს” შთაბეჭდილებები ვენერა ივანიშვილმა გაუზიარა: “ საქართველოდან 11 საჯარო სკოლის დირექტორი ვიყავით, იყო წარმომადგენელი განთლების სამინისტროდან, რომელიც პროფესიულ სასწავლებლებს კურირებდა, ასევე იყო პარლამენტის განათლების კომიტეტის წარმომადგენელი, რომელიც მუშაობს პროფესიული კოლეჯების კუთხით. ჩვენი პირველი სამუშაო დღე იყო ვიზიტი გაეროში, დავესწარით მცირე სესიებს, დავათვალიერეთ ყველა დარბაზი, სადაც კონფერენციები და შეთანხმებები ტარდება. ამერიკაში ვიმყოფებოდით 21 დღე. მოვიარეთ სამი შტატი: ნიუ იორკი, ინდიანოპოლი და აიოვა, ბევრი კოლეჯი და სკოლა მოვინახულეთ, გავესაუბრეთ როგორც სკოლების, ისე კოლეჯების პედაგოგებს, მოსწავლეებს. აიოვას შტატში მხოლოდ ერთი სკოლა ვნახეთ, სადაც ეს პროგრამა ინერგებოდა მეშვიდე კლასიდან, თორემ ძირითად შემთხვევაში ეს ხდება მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე კლასიდან. ეს პროგრამა შემდეგს გულისხმობს: ამერიკულ სკოლაში მოსწავლეები დილის რვიდან საღამოს ოთხამდე იმყოფებიან, ამ ხნის განმავლობაში, რა თქმა უნდა, სწავლობენ ძირითად საგნებს, შემდეგ მიმდინარეობს პროფესიული სწავლება, სხვადასხვა ხელობას შეასწავლიან. როგორც გავარკვიეთ, შტატს აქვს თავისი ეროვნული მიზანი და წარმოდგენილი აქვს მისთვის საჭირო ექვსი მიმართულება, თუ რა პროფესიები ასწავლონ მოსწავლეებს. შტატი იკვლევს, რა პროფესიის ადამიანები სჭირდება მას, ამ ექვსი მიმართულებიდან სკოლა ვალდებულია, აირჩიოს ოთხი, შემდეგ უკვე მოსწავლე თავად ირჩევს, რა მიმართულებით გააგრძელებს სწავლას. ამ პროფესიების სწავლება ორნაირად მიმდინარეობს. პირველი, თვითონ სკოლის ბაზაზეა შექმნილი ყველა პირობა საიმისოდ, რომ პროფესიები შეისწავლონ, არის უზარმაზარი სკოლები თავისი საამქროებით, სადაც ასწავლიან სხვადასხვა ხელობას, მეორე შემთხვევაში, კი ბავშვები მიჰყავთ კოლეჯებში გაკვეთილების შემდეგ, სადაც ყველა ბავშვს მიზნად აქვს დასახული, ისწავლოს ხელობა და სკოლას რომ დასრულებს, ხელთ აქვს როგორც სკოლის ატესტატი, ისე, ხელობის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი. შეუძლია, არჩეული პროფესიაც შეცვალოს, ყველაზე დიდი მოტივაცია მათთვის ისაა, რომ მეთერთმეტე- მეთორმეტე კლასებში დასაქმებულნი არიან, ამას გარდა, ამ სკოლებში პროფესიულ სასწავლებლის კუთხით კრედიტებს აგროვებენ, რაც შემდეგ პროფესიულ სასწავლებლებში სწავლისას ადგებათ. ამერიკაში ძალიან ძვირია სწავლა, მაგრამ, მოსწავლეს შეუძლია დაიწყოს მუშაობა და მისი ანაზღაურება დღეში 7-8 დოლარი იქნება, მაგრამ თუ ის გადაწყვეტს და დაამთავრებს კოლეჯს, საათობრივი ანაზღაურება 12-14 დოლარზე ავა, როცა დააგროვებს სკოლაში ამ კრედიტებს, შეღავათი ექნება კოლეჯში, თუკი კოლეჯს დაასრულებს და მოინდომებს ბაკალავრში სწავლას, ბაკალავრს ნაცვლად ოთხისა, ორ წელიწადში დააამთავრებს, ამ საფუძველს კოლეჯი აძლევს. ყველა ორიენტირებულია იმაზე, რომ ხელობა შეისწავლოს, ბიზნესმენებიც კოლეჯებში პროფესიული სწავლებით არიან დაინტერესებულნი, რადგან ამ ახალგაზრდებში მომავალ პერსპექტიულ, კვალიფიციურ კადრებს ხედავენ. ძალიან დიდი ყურადღება ეთმობა ამერიკის სკოლებში მოხალისეობას, ყოველი დღე, ალბათ 45- წუთიდან ერთ საათამდე მოსწაველეები მოხალისედ მუშაობენ, ეს მოხალისეობის საათები აისახება მათ CV_ში და რომელიმე სამსახურში რომ მიდიან, ამტკიცებენ, რომ მათ ამ საქმისადმი დიდი სიყვარული აქვთ. ყველა მოსწავლეს აქვს გარკვეული მოხალისეობის საათები დაგროვილი. ოცამდე მოსწავლეს დავუსვით კითხვა, თუ აპირებდნენ უმაღლესში სწავლის გაგრძელების, მხოლოდ სამმა გამოთქვა ბაკალავრის დამთავრების სურვილი, დანარჩენს ხელობა აქვს შესწავლილი და სამსახური გარანტირებული აქვს. გამიკვირდა, რომ გოგონა დაინტერესებული იყო შემდუღებლის პროფესიით, რაც იქ ძალიან პოპულარულია. ის თითქმის ყველა სკოლასა და კოლეჯში ისწავლება, ძირიათადად სჭირდებათ მილების შემდუღებელი, იციან, რომ ამ პროფესიის დაუფლების შემდეგ კარგი სამხსახური ექნებათ.”

როგორ აპირებს საკუთარი გეგმების ხორცშესხმას, ამ კითხვაზე ჩვენი რესპონდენტი გვპასუხობს: “ ალბათ რკინიგზის კოლეჯიდან ყოველკვირეულად ვერავინ ჩამოვა აქ, მაგრამ ამერიკაში ჩვენ ვნახეთ, მოსწავლეები პროფესიებს როგორ ეუფლებოდნენ დისტანციურად, სკაიპით იყვნენ ჩართულნი, მასწავლებელი წერდა შენიშვნებს მოსწავლეებისას. ჩემი ხედვა და ამერიკული ვიზიტების მოკლე მიმოხილვა გავაცანი ყველას, მინდა რკინიგზის კოლეჯის წარმომადგენლებთან ერთად შევხვდე ჩემი სკოლის მაღალი კლასის მოსწავლეებს, მასწავლებლებს და მშობლებს, ისინიც გააცნობენ თავიანთ პროფესიებს, ჩვენთან ერთად ამერიკაში ავიაციის ინსტიტუტისა და კოლეჯის წარმომადგენელი დავით ტეფნაძე იმყოფებოდა, მან თქვა, რომ მათაც აქვთ ონლაინსწავლების პროგრამები, ეს იდეაც ძალიან მომეწონა, მინდა მასთანაც გავაგრძელოთ თანამშრომლობა, იცით, რომ ჩვენთან აეროპორტის მშენებლობა მიმდინარეობს და იქაც იქნება შესაძლებელი ახალგაზრდების დასაქმება, ეს ძალიან კარგი პროგრამაა, რომ არ იყოს ამდენი ახალგაზრდა უმუშევარი. როცა მოსწავლე შეხედავს, რომ მის შრომას ფასი აქვს, სწავლობს არა იმისთვის, რომ ქულა დაიწეროს, არამედ იმისთვის, რომ მას გამოადგება, პრაქტიკულ რეალიზაციას მოახერხებს ცოდნისას, მეტი დაინტერესება ექნება. ინდიანოპოლის შტატში შევხვდით მოსწავლეებს, რომლებიც წარმოდგენილნი იყვნენ კონვენციაზე, 60 000 მოსწავლე იყო სულ შეკრებილი, არამარტო შემდუღებლობას, მზარეულობას, არამედ ასწავლიან ფერმერობასაც, ბევრი სკოლა ვნახეთ, სადაც უვლიდნენ ცხოველებს, გამოჰყავდათ მცენარეები, ამ პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი სსმ მოსწავლეები, კონვენციაზე წარმოდგენილი ბავშვები ვთქვათ სწავლობენ ფერმერობას, ჯერ მიმდინარეობდა კონკურსი ქალაქის დონეზე, სადაც გამარჯვებული შემდეგ უფრო მაღალი დონის კონკურსში იმარჯვებდა. ყველა სკოლას თავისი ჯგუფი ჰყავდა წარმოდგენილი, ხშირად გუნდები წარმოაჩენდნენ რაიონს, თითოეულს ჰყავდა პრეზიდენტი, ჰქონდა პროგრამა, უზიარებდნენ ერთმანეთს მუშაობის გამოცდილებას, კონფერენცია ტარდებოდა, იყო დაჯილდოვება, მუსიკალურად გაფორმებული იყო ეს შეხვედრები, ჩემი დიდი ყურადღება მიიქცია იმან, რომ შტატის ყველა მოსწავლეს ერთნაირი ფორმა ეცვა. ეს 60 000 მოსწავლე ერთნაირ სამოსში ძალიან ლამაზი იყო.”

ინტელექტუალური ჩემპიონატი კვლავ უმაღლეს დონეზე ჩატარდა

ნათია ნაცვლიშვილი

სამტრედიაში უკვე მეოთხედ გაიმართა მუნიციპალური ინტელექტუალური ტურნირი, რომელიც ყოველწლიურად უფრო და უფრო მასშტაბური ხდება. ნაადრევად, ტრაგიკულად გარდაცვლილი ძმების, იოანე და თემურ ვაშაკიძეების ხსოვნის მემორიალი მერიის მხარდაჭერით, სამტრედიის ინტელექტკლუბის და მერიის კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით იმართება. ამ გრანდიოზულ ტურნირს, რომელსაც უამრავი ცნობილი ინტელექტუალი სტუმრობს მონაწილეობის მისაღებად, სამტრედია ყოველი წლის ბოლოს დიდი ინტერესით ელოდება ხოლმე. წლევანდელ ტურნირში 38 გუნდი მონაწილეობდა. უკვე მესამე წელია, სადღესასწაულო ცენტრ "კოლხის" ადმინისტრაცია უსასყიდლოდ უთმობს ადგილს ინტელექტუალ ქართველ ახალგაზრდებს, რათა პუბლიკამ "ტვინთა შეჯიბრება" იხილოს და გამარჯვებული ფინალისტები გამოავლინოს.

წლეულს მუნიციპალური ჩემპიონატი ტრადიციულად გაიმართა "რა? სად? როდის?", "ბრეინ-რინგსა" და "ჯეპარდში", სიახლე იყო ასევე მუსიკალური ტურნირი, რომლის სახელწოდებაც" სამი პატარა ჩიტი" სიმბოლურად ეხმიანება სამტრედიის გერბზე გამოსახული სამი მტრედის იდეას. მუსიკალური ტურის ავტორი გიორგი გვეტაძეა, რომელიც ასევე გახლდათ კითხვების ტოპ რედაქტორი. ტურნირის პირველი დღის 48 შეკითხვის ავტორები არიან ინტელექტკლუბის წევრები: გიგა ჩალიგავა, მამუკა კიღურაძე, ლევან ცირეკიძე, თეა მიქელაძე. სწორედ გიგა ჩალიგავა წარუძღვა თამაშს პირველ დღეს.

ტრადიციულად, ტურნირი სამტრედიის ინტელექტკლუბის კაპიტანმა, გიორგი ჩაჩუამ გახსნა, მადლობა გადაუხადა მერიასა და კულტურის სამსახურს მხარდაჭერისათვის, ასევე მედეა ხუჭუას, "კოლხის" ადმინისტრატორს, პირველი საჯარო სკოლის დირექტორ ხათუნა ფაილაძეს სკამებით უზრუნველყოფაში გაწეული მხარდაჭერისათვის. შეკრებილებს მიესალმნენ მუნიციპალიტეტის მერი, ვალერი ფოცხვერია, მერის მოადგილე დავით ბახტაძე და მერიის გაანთლების, კულტურის ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, ნატალია მანჯგალაძე. ახალგაზრდებს მიესალმა ასევე იოანე და თემურ ვაშაკიძეების მამა, ირაკლი ვაშაკიძე, რომელმაც მადლობა გადაუხადა ღონისძიების ყველა ორგანიზატორს, მონაწილეს და თქვა, რომ უკვე მეოთხე წელია, მისი ოჯახი ამ დღის მოლოდინით ცხოვრობს. ბატონმა ირაკლიმ საკუთარი სახსრებით დააწესა პრიზი ოქროს ქულის ავტორისათვის, პრიზის მფლობელი თბილისელი ლუკა ლომსაძეა, გუნდ" ოზომანდიასის" კაპიტანი, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი, რომელმაც ახლახან ერთ- ერთ სატელევიზიო ინტელექტუალურ თამაშში 24 ათასი მოიგო.

"სამტრედიის მაცნე" ტურნირის დაწყებამდე სხვადასხვა გუნდის მონაწილეებს გაესაუბრა: "

გუნდ "ბახტრიონის" წევრი, მარიამ კოსტავა: "გუნდში ვართ სამი ჟურნალისტი, მე, გიორგი მიქელაძე, პაატა ჩახვაშვილი, გვყავს პროფესიით არქიტექტორიც, პირველად ვარ თქვენს ქალაქში და ძალიან კმაყოფილი ვარ."

გიორგი მიქელაძე: "ეს ტურნირი პირველად რომ ჩატარდა, ძალიან კარგად იყო ორგანიზებული, დღეს გუნდების გაცილებით დიდი რაოდენობაა, დარწმუნებული ვარ, თანდათან უკეთესი გახდება ეს ტურნირი. გუნდები სამტრედიაში ყოველთვის სიამოვნებით ჩამოვდივართ სათამაშოდ, ეს უკვე იმ დონის ტურნირია, ვერც ერთი გუნდი ამ ტურნირს გვერდს ვერ უვლის, ეს კარგია რეგიონის განვითარებისთვისაც, მაგალითად, სამტრედიელი ბავშვებისთვის ეს არის ადგილი, სადაც ინტელექტის გამოვლენა შეიძლება."

ბაჩანა შენგელიას ექვსეულის სატელევიზიო სახეს, თორნიკე ჯანგველაძეს მკითხველი კარგად იცნობს. თორნიკემ სამტრედიის პირველი საჯარო სკოლა დაამთავრა, მასთან საუბარი მშობლიური ქალაქის თემით დავიწყეთ: "ძალიან მიყვარს ჩემი მშობლიური ქალაქი, აქ დავიბადე და გავიზარდე, ტურნირს რაც შეეხება, ძალიან კარგი საქმე კეთდება ინტელექტუალური თამაშების პოპულარიზაციისთვის, ბიჭები შრომობენ, თან იოანეს და თემურის სახელობის ტურნირია, ემოციურად მძიმეა, როცა იცი რას უკავშირდება ეს თამაში. ორგანიზება იდეალურია, ფანტასტიურია. მადლობა ყველას".

ნიკა ჭურაძე გუნდ "26-ე საათის" კაპიტანი: " ამ ტურნირზე პირველად შარშან ჩამოვედით, მოვიგეთ კიდეც, ვთამაშობთ როგორც დედაქალაქში სუპერლიგაში, ისევე, ყველა გასვლით ტურნირში ვმონაწილეობთ, იმიტომ რომ მნიშვნელოვანია, ყველაფერი არ იყოს ცენტრალიზებული, რაც მეტი ხალხი ივლის რეგიონში, მით უფრო გაიზრდება ამ ტურნირის ხარისხი, შარშან უმაღლესი დონის ტურნირი იყო როგორც კითხვებით, ისე ორგანიზებით და ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ პატივს მივაგებთ ბიჭებს, რომლებიც დაკავებულნი იყვნენ ამ საქმით. პრიზებიც მშვენიერია მთავარია, რომ ეს არის მემორიალი და ყველა ჩვენგანმა ვიცით, რა მიზანს ემსახურება ეს ტურნირი."

სამტრედიელი საბა კაცაძე ამ ტურნირზე კლუბ "ოზიმანდიასის" შემადგენლობაში ვიხილეთ. _ "გუნდში ვართ მეგობრები, ვფიქრობ, კონკურენციას თუ გავითვალისწინებთ, მოგება გამიჭირდება." _ გვითხრა საბამ ტურნირის დაწყებამდე.

სერგო თევდორაძე გუნდ "კოზა ნოსტრას" (კაპიტანი კახა მაჩიტიძე) შე მადგენლობაში თამაშობდა. ცნობილია, რომ ის დიდ დახმარებას უწევს ჯიხაიშის საჯარო სკოლის მოსწავლეებს, მასთან საუბარი სწორედ ამ თემით დავიწყეთ: " ორისამი წელია, ვერ დავეხმარე მათ, ვერ მივაქციე ყურადღება, ამ სკოლაში მოსწავლეები თავად ძალიან აქტიურობენ, ისინი დამოუკიდებლად ატარებენ სასკოლო ტურნირებს, რაც შეეხება დღევანდელ ტურნირს, მადლობას ვეუბნები მის ყველა ორგანიზატორს, ამ ბიჭების მონდომება, ენთუზიაზმი, სურვილი ეს არის შთამბეჭდავი! თამაში, რომელსაც წუნი არ აქვს! მადლობა ჩვენს მუნიციპალიტეტს, ქუთაისში ვერ ხდება ასეთი გრანდიოზული თამაშები და ეს ხდება სამტრედიაში, რაც თქვენი მუნიციპალიტეტის და ამ ბიჭების დამსახურებაა"

დაძაბული ორდღიანი ინტელექტუალური ჭიდილის შემდეგ გამარჯვებულები გამოვლინდნენ. თამაშში "რა? სად? როდის?" პირველ ადგილზე " ბოკა ხუნიორსი" (გიორგი ქობულაშვილი) გავიდა, გამარჯვებული გუნდი 1000 ლარით დაჯილდოვდა, მეორე ადგილი ქუთაისის გუნდ "აიას" ერგო, (პრიზი 500 ლარი), მესამე ადგილი კი "26-ე საათმა" დაიკავა და მას 300 ლარი გადაეცა.

რკინიგზელები რკინიგზელთა ქალაქიდან

მკითხველთათვის კარგად ნაცნობ რუბრიკაში ამჯერად იმ ღვაწლმოსილ სამტრედიელს გავიხსენებთ, რომელიც მუხლჩაუდგამი შრომით გახდა აღიარებული არა მარტო მშობლიურ სამტრედიასა და საქართველოში, არამედ მთელ საბჭოეთში.

ბატონი ვახტანგ სტურუა სამტრედიაში დაიბადა, მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში, საიდანაც ვალმოხდილი დაბრუნდა და მუშაობა რკინიგზაზე დაიწყო.

ელიავას სახელობის რკინიგზის ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ, წლების მანძილზე მუშაობდა სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს მემანქანის თანაშემწედ, მემანქანედ.

პროფესიისადმი საოცარი სიყვარული, მაღალი საშემსრულებლო კულტურა გეგმებისა და ნაკისრ ვალდებულებათა უპირობო, ხარისხიანი შესრულება, რკინიგზელთა შორის განსაკუთრებული დიდი ავტორიტეტი გახდა წინაპირობა და საბაბი იმისა, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებში, ბატონი ვახტანგი არჩეული იქნა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

უზარმაზარი ქვეყნის პარლამენტში იგი მშობლიურ სამტრედიას წარმოადგენდა და ყველაფერს აკეთებდა მასზე დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად.

რკინიგზელთა ქალაქია სამტრედია, რკინიგზის განვითარებასთან ერთად შლიდა მხრებს, ფართოვდებოდა, იზრდებოდა ერთ დროს პატარა დაბა, რომელიც რკინიგზის წყალობით გადაიქცა საქართველოს უდიდეს სამრეწველო რაიონად, სარკინიგზო კვანძად. დიდია ყოველივე ამაში მკლავმოუღლელ სამტრედიელ რკინიგზელთა წვლილი, რომელთა შორისაც გამორჩეული ადგილი ეჭირა ბატონ ვახტანგ სტურუას.

ბრძოლასა და შრომაში ვალმოხდილი, დაღლილი განერიდა საწუთროს არაერთი ჯილდოს მფლობელი "საპატიო რკინიგზელი", რომლის ნათელი ხსოვნა მარად იცოცხლებს იმ ადამიანთა შორის, მის მხარდამხარ რომ უმუშავნიათ, ვისაც ახსოვს ბატონი ვახტანგის მოკრძალებული, თავაზიანი სალამი და თბილი მოკითხვა.

95 წლისა გახდებოდა ამ დღეებში ბატონი ვახტანგ სტურუა.

ლევან გაბეჩავა

"ჯეპარდის" პირველი ადგილის მფლობელი გაგი გაბრიჭიძეა, მეორე ადგილზე შამშე ქენქაძე გავიდა, მესამეზე _ ანტონ ვაჭარაძე, მეოთხეზე_ გარსევან ჯორბენაძე. " ბრეინ რინგში" პირველი ადგილი "რაგანროკს" ერგო, მეორე_ "26-ე საათს", მესამე ადგილი კი, "კოზა ნოსტრას". ფულადი პრიზებით ასევე დაჯილდოვდნენ ჯეპარდის და ბრეინრინგის გამარჯვებულები.

სამტრედიის ინტელექტკლუბის წევრი, ამ ტურნირის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ლაშა ლორია:" ტურნირმა გაამართლა იმედები, ბევრი გუნდი იყო ჩამოსული, იყო დაძაბული ბრძოლა და გაიმარჯვა ღირსეულმა".

ტურნირზე შარშან იმყოფებოდა ბაჩანა შენგელია, წლეულს კი, მის გუნდს"კოზა ნოსტრას" კაპიტნის გარეშე მოუწია ასპარეზობა და გაიმარჯვა კიდეც. ინტერვიუ გუნდის კაპიტანს, გიორგი ქობულაშვილს ვთხოვეთ: " ეს იყო ძალიან კარგად ორგანიზებული ტურნირი, ყოველთვის პრობლემას წარმოადგენს ერთად რამოდენიმე თამაშის დროში ჩატევა, ყველაფერი ისე კარგად წარიმართა, როგორც დიდ ტურნირებზე ხდება, იყო ძალიან მოქნილი კითხვების პაკეტები, რადგან ჩვენთვის არ საჭიროებდა დიდ შრომას და დიდ დაღლას, მარტივად გადავლახეთ, არ გაგვიჭირდა გამარჯვების მიღწევა, ერთადერთი გულდასაწყვეტი ისაა ამ ტურნირთან დაკავშირებით, რომ იოანე და თემურ ვაშაკიძეები ჩვენთან არ არიან. დანარჩენი ყველაფრით კმაყოფილები ვართ. მადლობა ყველა ორგანიზატორს და თქვენს მუნიციპალიტეტს."

გაგი გაბრიჭიძემ, "ჯეპარდის" გამარჯვებულმა "სამტრედიის მაცნესთან" საუბარში განაცხადა: "უკვე მესამედ ჩამოვედი ამ ტურნირზე და ყოველთვის კარგი გარემო გეხვდება ორგანიზების მხრივ, ყოველთვის სიამოვნებით ჩამოვდივარ ამ ტურნირზე, ჩვენი მეგობრები არიან მისი ორგანიზატორები, კლუბის წევრები, მათთან ძალიან ახლო ურთიერთობა გვაქვს, ტურნირის დანიშნულებაც ვიცით, იგი ჩვენთვის ძალიან დადებით ემოციებთან არის დაკავშირებული, გარდა იმ სამწუხარო მომენტისა, რის გამოც ტარდება. ამ ქალაქთან ახლო შეხება არ მქონია და სწორედ ამ ტურნირით გაგიცანით".

ინტელექტუალთა ძველი გვარდიის წარმომადგენელმა, სამტრედიის ინტელექტკლუბის წევრმა, ზაზა ადეიშვილმა ერთგვარად შეაჯამა ეს მასშტაბური მემორიალური ტურნირი: " ერთი და მთავარი: ჩვენმა ნათელმა ჭაბუკებმა, თემურმა და იოანემ ამ წუთისოფლიდან წასვლის შემდეგაც გააგრძელეს ქვეყნის ახალგაზრდობის წიგნიერების სამსახური, მათ სახელს და ხსოვნას უკვე მეოთხე წელია, სამტრედიაში ჩამოყავს მთელი ქვეყნის ნათელი გონებები, ეს მემორიალური ტურნირი ყოველწლიურად უფრო წარმომადგენლობითი ხდება, რისი დადასტურებაც იყო წლევანდელი ტურნირი. განსაკუთრებით ჩემთვის სასიამოვნოა ის, რომ ისეთ ცნობილ ინტელექტუალებთან ერთად, როგორებიცაა გაგი გაბრიჭიძე, დათო ლომინაძე, სერგო თევდორაძე, თორნიკე ჯანგველაძე, კონსტანტინე რაჩკოვსკი... ათეულობით სამტრედიელი ახალგაზრდა იჯდა დარბაზში სხვადასხვა გუნდის შემადგენლობაში. შეიძლება ცოტას ვაჭარბებ, მაგრამ, ვთვლი, რომ ცოდნის და წიგნის სიყვარული ვირუსივითაა, გადამდებია და ასეთ ადამიანებთან ერთ ოთახში ყოფნით, თუნდაც მათთან მისალმებითაც კი, უკეთესი გახდები. არ შემიძლია მადლიერება არ გამოვხატო იმათ მიმართ, ვისი პატრონაჟითაც ტარდება ეს მემორიალური ტურნირი, უპირველეს ყოვლისა, ეს არის ბიჭების მამა, ირაკლი ვაშაკიძე, რომელიც კლდესავით დგას ამ გაჭირვების პირისპირ. დიდად დასაფასებელია მუნიციპალიტეტის მერის, ვალერი ფოცხვერიას, კულტურის სამსახურის უფროსის, ნატალია მანჯგალაძის გვერდში დგომა. ქალბატონი მედეა ხუჭუა, ბოლო წლებია გვმასპინძლობს. და ის ადამიანები, ვის ზურგზეც მოდის ინტელექტკლუბი წლების განმავლობაში სამტრედიაში: გიორგი ჩაჩუა, ლაშა ლორია, ლევან ცირეკიძე, ლაშა ორმოცაძე, გიგა ჩალიგავა... მინდა ამ ადამიანებს დავუდასტურო პატივისცემა და ვუსურვო არაერთი წარმატება.

სიკეთის ქალაქი სამტრედია!

თეა ბაბუნაშვილი

დიახ, გაჭირვებით ვერავის გააკვირვებ და დიახ, გაჭირვებულიც იმაზე გაცილებით მეტია, ვიდრე დახმარების შესაძლებლობის მქონე და, რაც მთავარია, მსურველი! მაგრამ ღარიბი კაცის ლუკმა რომ უფრო ტკბილია, ქართული ანდაზაც გვასწავლის და ფაქტებიც ამტკიცებს. სულ ბოლოს სამტრედიის რეალობაშიც ასე მოხდა. თუ გული გულობსო, და ყველამ, ბევრი ჰქონდა თუ ცოტა, ერთ ოჯახს, ქვრივად დარჩენილი ახალგაზრდა ქალისა და მისი ორი მცირეწლოვანი შვილისგან რომ შედგება, დახმარება გაუწია. ყველაფერი ფეისბუქ გვერდზე "სიკეთის ქალაქი" განთავსებული ვიდეორგოლით დაიწყო, რომელიც საზოგადოებას ადრე დაქვრივებული ნანა ცინცაძისა და მისი ორი მცირეწლოვანი შვილის უკიდურეს სიდუხჭირეს აცნობდა.

ნანა ცინცაძის მეუღლე დედაქალაქში ტაქსის მძღოლობით არჩენდა ოჯახს. ავარიით დაიღუპა. ბანკის ვალდებულებებით დატვირთული მისი ახალგაზრდა მეუღლე, ორ შვილთან ერთად ქუჩაში დარჩა. "შემზარავია დედისთვის ფიქრი, ღამე სად გაათევინოს მშივრად დარჩენილ შვილებს, რითი გამოკვებოს ისინი და სანამდე უნდა გაგრძელდეს ასე, რადგან ხსნა და საშველი არსად ჩანს, არ გაქვს ხვალინდელი დღის იმედი." _ ცრემლიანია ძაძებით შემოსილი 30 წლის ქალის სიტყვები.

ვიდეორგოლი ფეისბუქზე სამტრედიელმა ახალგაზრდებმა ნახეს. აჩი ბოხუამ, გიგა დელიბალდიდმა, თამო ბოხუამ, დავით გეგიამ, ნინო ჭახნაკიამ მაშინვე შექმნეს გვერდი, რომელსაც უბრალოდ დარქვეს "სიკეთე გადამდებია _ სამტრედია". და სიკეთე მართლაც გადამდები გახდა. თითქმის მთელი ქალაქი მოიცვა მან. დახმარების სურვილი ბევრმა გამოთქვა, ყველას ჩამოთვლა გაგვიჭირდება, ვინმე რომ არ გამოგვრჩეს, სახელებისა და გვარიბის დასახელებისგან თავს შევიკავებთ, მთავარია, რომ სიკეთის კეთების მსურველი ძალიან ბევრი აღმოჩნდა.

ოჯახს ყველაფრით დაეხმარნენ, შეუძინეს საყოფაცხოვრებო ტექნიკა, ჭურჭელი, ტანსაცმელი, საკვები პროდუქტები. გარდა ამისა, ცალკეულმა ადამიანებმა გარკვეული დროით საკუთარ თავზე აიღეს კომუნალური გადასახადების გადახდა. პედაგოგების ერთმა ნაწილმა უფასოდ იტვირთა პატარა ნინოს მეცადინეობა უცხო ენაში, მათემატიკაში. სიმღერასა და ცეკვაზეც უფასოდ ივლის ნიჭიერი გოგონა. იაქტიურეს სამტრედიელმა ემიგრანტებმაც. მუნიუციპალიტეტის მერიამ გარდა საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენისა, ბინის გადასახადის გადახდაც იტვირთა. "მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც ესოდენ დიდი სიკეთე გამიკეთა. მადლობა ამ ახალგაზრდებს, უშურვებლად რომ გასცემენ სითბოს ჩემი შვილებისთვის და მადლობა მუნიციპალიტეტის მერიასა და პირადად ვალერიანე ფოცხვერიას იმ გულისხმიერებისთვის, ჩემი დაობლებული შვილების მიმართ რომ იჩენს." _ ცრემლნარევი გახლდათ უკვე იმედით სავსე შავოსანი დედის, ნანა ცინცაძის სიტყვები.

"ჩვენ ეს შევძელით, ერთ კვირაში მთელი ქალაქის მობილიზება სიკეთის საკეთებლად! ეს და ყველაფერი მხოლოდ ამ ერთი ოჯახით არ დასრულდება. სიკეთე რომ გადამდებია, უკვე ვიცით, საკეთებელი კი კიდევ ბევრია." _ ამბობს აჩი ბოხუა. როგორც გიგა დელიბალდიდი გვიხსნის: "ეს არ იქნება ერთჯერადი აქცია მხოლოდ ერთი ოჯახისთვის. ჩვენ ყოველთვის დავეხმარებით მათ, ვისაც მოყვასის თანადგომა სჭირდება. ცუდია, რომ დასახმარებელი ბევრია, მაგრამ ერთად ყველაფერს მოვერევით."

იქნებ მართლა ერთი შეხვედვით ჩანს, რომ მოზღვავებულმა პრობლემებმა გაცვითა ადამიანური გრძნობები და მოვალეობები. ერთი მოწოდება და... სიკეთე გადაედო ქალაქს, მთელ ქალაქს, მთელ სამტრედიას! ბოლო პერიოდში ამაზე ბევრი საუბრობდა და არა მხოლოდ საუბრობდა, ბევრი მოქმედებდა ისე, როგორც ამას საკუთარი ადამიანობა კარნახობდა.

სიკეთის კეთება გადაედო სამტრედიას და ხვალ კიდევ უფრო მეტი იქნება ქვაზე დადებული მადლი, დანახვისთანავე სხვასაც მადლის ქვაზე დასადებად რომ განაწყობს.

სამტრედიელთა ბედის ირონია... ანუ ცივი შხაპი!

ფიქრმა იმის შესახებ, რას დავუტოვებთ შთამომავლობას, მიბიძგა მეთქვა ის, რასაც ვფიქრობდი. მართალია გამონათქვამი: "ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების".

ბატონო ბიძინა! მოვისმინე თქვენი ინტერვიუ ტელეეთერით. ნუთუ მართლა ასე ფიქრობთ, რომ ქართველები სახღვარგარეთ დავასაქმოთ?! მაშინ, როდესაც დღეს საქართველოში საქმდებიან ჩინელები, ინდოელები, არაბები... რას ამბობთ რასა?!

კარგად დაფიქრდით, მოუხმეთ გონებას. ილიამ ხომ გვითხრა: "ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნესო!", დიდი ნიკო ნიოლაძე ვინმეს კვალს კი არ გაჰყოლია, უცხოელს კუდში კი არ ადევნებია, საკაცობრიო აზროვნება აითვისა, სამოქმედო პროგრამად მამულის სიყვარული და მსახურება გაიხადა. მამულის სიყვარული ღვთიურია _ გვასწავლიდა ბატონი ნიკო. სამუშაო ადგილებს ჰქმნიდა, რომ მოსახლეობა ადგილზე დაესაქმებინა. ექვთიმე ღვთის კაცმა განძს მისხალი არ მოაკლო და სამშობლოს დაუბრუნა. გავიხსენოთ რას გვასწავლიდნენ დიდი მამულიშვილები თავისი ცხოვრებიდან. თავად ბიძინამ ერთმა ღარიბმა ბიჭმა თავისი შრომით, ღვაწლით, დიდძალი სიმდიდრე მოიპოვა, სამშობლოში დაბრუნდა წმინდა სამების ტაძარი ააგო, თავისი სიმდიდრის ნახევარზე მეტი ქველმოქმედებაში ჩადო. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბიძინასათვის ოჯახი ციხესიმაგრეა, ძლიერი ოჯახებია სახელმწიფოს ქვაკუთხედი. ოჯახი ძლიერია მაშინ, როდესაც თავის სამშობლოშია დასაქმებული, ამით ყველაფერია ნათქვამი. კარგად დავფიქრდეთ, ნდობას გაუფრთხილდეთ! ზოგჯერ ხდება ისე, რომ კი მიუვლენს ამა თუ იმ ერს მამაზეციერი მის მესაჭეს და მხსნელს, მაგრამ ჩაივლის დრო და იმ გვარიანსაც თან გაიყოლებს, შეიძლება იმიტომ, რომ "...ვაი, რა კარგი საჩინო, რა ავად მიგიჩნიესო..."

ბატონო ბიძინა!

მოგიწოდებთ დაიმკვიდროთ ადგილი სახელოვან მამულიშვილთა გვერდით!

ამასთანავე სამტრედიის ისტორიას თუ მოკლედ მოვიკვლევთ, დაარსებიდან (1872 წელი) მე-20 საუკუნის 80-იან წლებში მისი ინფრასტრუქტურის განვითარებამ უმაღლეს ნიშნულს მიაღწია. სამტრედია ქვეყნის მასშტაბით პირველ რიგში იდგა. 90-იან წლებში ქალაქი სამოქალაქო ომის ეპიცენტრში აღმოჩნდა. ქალაქი სიბნელემ, მწუხარებამ, მდუმარებამ და შიშმა მოიცვა. ეკონომიკური პოტენციალი დაეცა. ბოლო 30 წელი ცხოვრება თვითდინებით მიდის. ქალაქს ტოვებს მკვიდრი მოსახლეობა, ახალგაზრდები, რაც დასანანია. დღემდე სამტრედიის დანიშნულება _ ფუნქცია გაურკვეველია. რას გვიქადის მომავალი, როგორ ისახება სამტრედიის როლი ჩვენი ქვეყნის სტრატეგიულ გეგმაში?

ნუთუ ქალაქს საქართველოს გეოგრაფიული რუქიდან გაქრობა ელის?! დაპირება, რომ ხვალინდელი დღე უფრო ღიმილიანი იქნება, დაპირებად რჩება. ასეთი დაპირება მხოლოდ პირად ინტერესს ემსახურება _ შეინარჩუნონ თანადგომა, გაიხანგრძლივონ სკამზე ჯდომა, რაც მორალს სცილდება. იდეები ადამიანებს უნდა ემსახურებოდეს და არა პირიქით.

არაერთი მცდელობის მიუხედავად პუბლიკაციებით გაზეთის ფურცლებზე, როგორ ესახებათ სამტრედიის როლი მომავალში, კითხვა პასუხგაუცემელი რჩება, ფიქრობენ, დუმილს "ოქროს ფასი აქვსო". ასეთი დამოკიდებულება ნიჰილიზმს ამკვიდრებს, უხნეობას ახალისებს. განვითარებულმა პოლიტიკურმა ბატალიებმა საზოგადოება დაქსაქსა, დაივიწყა მთავარი პრიორიტეტი, რომ ქვეყნის ფუძეს და სიძლიერეს მისი მყარი ეკონომიკა და გონივრული მართვა განაპირობებს.

ამბობენ, რომ პოლიტიკაში "ყველაფერი მოსულა", მაგრამ მთლად ასეც არ უნდა იყოს, რადგანაც მსოფლიოში ცნობილი ჩეხეთის პირველი პრეზიდენტი, დრამატურგი, დისიდენტი, ადამიანის უფლებების დამცველი, ვეროპაში ზნეობრივი პოლიტიკის სახე, ვაცლავ ჰაველი ამბობდა: "პოლიტიკა და ზნეობა შეთავსებადია, პოლიტიკა არ არის ბინძური საქმე, ბინძური შეიძლება იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც პოლიტიკით არიან დაკავებულები, ხოლო ვისაც აქვს გული და გემოვნების შეგრძნება, მას შეუძლია წარმატებული პოლიტიკოსიც გახდეს. უფრო მეტიც, ის პოლიტიკისათვის არის შექმნილი".

ვაცლავ ჰაველის სიტყვებითვე _ "ნამდვილი პოლიტიკა არის ერთადერთი, რასაც მზად ვარ მთელი ძალები შევწირო. იგი მოძმეთა ჩვეულებრივ სამსახურში, საზოგადოების სამსახურში და იმათ სამსახურში მდგომარეობს, ვინც ჩვენ შემდეგ იცხოვრებს. ასეთი პოლიტიკა ზნეობრივია, ვინაიდან მასში ხორციელდება საყოველთაო ურთიერთპასუხისმგებლობა".

კაცი იფიქრებს ეს ასაკოვანი ადამიანი რატომ ვერ ისვენებს, არ ცხრება თავისი ჟამი ხომ გალიაო. გონებას ღრღნის ფიქრი, რას დავუტოვებთ მემკვიდრეობად ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს.

აქვე განვმეორდები და საზოგადოებას კვლავ გავახსენებ ჩვენი ქვეყნის სულიერი მამის ილია ჭავჭავაძის შეგონებას, როდესაც ისეთმა დიდმა პიროვნებამ, როგორიც ნიკო ნიკოლაძე იყო - გულნატკენმა, საზოგადოებრივ სარბიელს თავი დაანება და პუბლიცისტობა მიატოვა, ილია ჭავჭავაძემ მას წერილი მისწერა:

"ძმაო ნიკო! წავიკითხე შენი გამოსალმება, წავიკითხე, მაგრამ წაკითხულის აქამდისაც არ მჯერა... ნუთუ მართლა შეუშინდი ჭიაჭუებს და იმათ ბზუილზე გაფრთხი?.. განა წინადვე არ იცოდი, შენ დაადექ, ათასი ვაივაგლახი ბეზღი, ცილი, ლანძღვა, თრევა დაგვხვდებოდა ჯილდოდ შენი შრომისა და მოღვაწეობისა? ეგ ამბავი არახალია, ძველია, ვითომ რა გიკვირს, რომ მოსალოდნელი მოვიდა და რად გიხარია, რომ ამდენი ძალა გქონია, რომ მკვდრებიც კი ააყენე... ექცევი რასა და ვისა? შენ ქვეყანას, შენ შრომას, შენ მეგობრებს და თანამოაზრეთა, რას შვრები რასა? თუ მართლა გიყვარს ის, რისთვისაც ეგრე თამამად და უშიშრად იღვწოდი, დარჩი მაგ უბედურ ხსოვნაში, რომ მარტო უბედურთ უნდა შველა და არავის სხვასა, კვლავ მოჰკიდე ხელი შენს პატიოსან საქმეს..." და დიდი ნიკო დაუბრუნდა საზოგადოებრივ საქმიანობას.

მთავარი ზნეობაა!

დაბოლოს წერილი მინდა დავასრულო ჩვენი თანამედროვეობის პოეტის _ მგოსნის, მურმან ლებანიძის ლექსით:

უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი
არა დაღვრილის _ დასაღვრელის, ალბათ, მაცნეა
არავითარი სხვა, სამშობლო ამაზე მეტი
არ გამაჩნია!
მე დავინახე სვეტიცხოვლის თორმეტი სვეტი,
თოთხმეტი ციხე ზეგნებიდან ლაჟვარდს გასჩრია,
არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი,
არ გამაჩნია!
მშვენიერია ორ _ ზღვას შუა კავკასიის ხედი
და კითხვა: "ვინ _ ვის?" ბებერ გულში
ლახვრად მაჩნია, არავითარი სხვა სამშობლო
ამაზე მეტი, არავითარი სხვა გზა, სხვა ხსნა
არ გამაჩნია!

მოკრძალებით, სინანულით
თეა ბოჭორიშვილი

დაუდგრომელი, ბობოქარი შალვა მგალობლიშვილი 77 წლისაა

წერილის ადრესატზე, ბატონ შალვა მგალობლიშვილზე, საუბრის დაწყებამდე, აუცილებლობად მიმაჩნია, წინამძღვრად სამტრედიასა და მის წარსულთან დაკავშირებული ერთი ამბავი გავიხსენო.

1971 წელია. რაიონის მკვიდრის, აფხაზეთში მოღვაწე სოხუმის კურორტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, ბატონ ალექსანდრე გრიგოლიას 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით, სამტრედიას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 60 კაციანი დელეგაცია სტუმრობს. ქალაქის ღირსშესანიშნაობათა გაცნობისა და უშუალოდ ბატონ ალექსანდრეს მიერ, კურორტ სამტრედიას მშენებლობის საფუძვლის გაჭრის შემდეგ რაიონის კულტურის სახლში ხალხმრავალი საიუბილეო საღამო იმართება, რომელიც ქართველთა და აფხაზთა ისტორიული მეგობრობისა და საუკუნეთა მანძილზე ქართულ მიწაზე, ურთიერთგაგებისა და თანაცხოვრების ნათელ დემონსტრირებად იქცა. შეხვედრის "ფინალს", იანეთში რესტორან "ცისკარაში" სტუმართა პატივსაცემად გამართული ვახშამი წარმოადგენდა.

მოხდა ისე, რომ სუფრის თამადას პარტიის რაიკომის პირველ მდივანს, ბატონ ნოდარ კოხრეიძეს შეხვედრის დაწყებამდე სასწრაფოდ თბილისში, პარტიის ცენტრალურ კომიტეტში უხმეს. მან ჩემი კატეგორიული უარის მიუხედავად, სუფრის ხელმძღვანელად დარბაზს ჩემი პიროვნება წარუდგინა. სტუმარ-მასპინძელთა შორის ერთ-ერთი ახალგაზრდა კაცისათვის, საქართველოს ყველა კუთხიდან მოწვეულ საპატიო სტუმართა და თავად აფხაზეთიდან ნაღები საზოგადოების წარმომადგენლობის ფონზე, რომელსაც ავტონომიური რესპუბლიკის პრეზიდიუმის ყოფილი თავმჯდომარე ბატონი ბაგრატ შინკუბა ხელმძღვანელობდა, ეს იყო ძალზე დიდი პატივი. რამეთუ, ესოდენ საპატიო სუფრის ხელმძღვანელობის პარალელურად, ჩემი ყოველი სიტყვა და მოქმედება, სათანადო ეტიკეტის დაცვასაც ითხოვდა. ამიტომაც იყო, რომ თავიდანვე ერთგვარმა შიშმა და დაძაბულობამ შემიპყრო, რაც ჩემს გვერდით მჯდომ, აფხაზთა დელეგაციის ერთ-ერთ წარმომადგენელს, დაახლოებით 50 წლის, სიმპატიური გარეგნობის მამაკაცს, როგორც შემდგომში გაირკვა აფხაზეთის ფსიქონევროლოგიური საავადმყოფოს მთავარ ექიმსა და ფსიქიატრს ამ წერილის ადრესატის მამას, ბატონ ბიძინა მგალობლიშვილს შეუმჩნეველი არ დარჩენია. მახსოვს, ხელი მომხვია და ჩამჩურჩულა: ნუ ნერვიულობ, შენს გვერდით მიგულე, ყველაფერი კარგად იქნებაო. მართლაც, მისი თანადგომით, სუფრა ისე წარიმართა, რომ სტუმართა და პირადად ბატონი ლაკობას დიდი მადლობა დავიმახსოვრეთ. ამდენად, ბატონი ბიძინას პიროვნება ჩემს მეხსიერებას შემორჩა, როგორც ქართული, კაცური-კაცობის ნიმუში და განსახიერება.

წერილის შესავალში ამ მოგონებას იმიტომ ვუხმე, რომ მკითხველს თავიდანვე ვაუწყო ბატონი შალვა მგალობლიშვილის სახით, როგორი პიროვნების შთამომავალთან ექნება შეხება.

1971 წელსვე, როცა სამტრედიაში ჯანდაცვის სამინისტროს სარაიონთაშორისო ფსიქონევროლოგიური დისპანსერი გაიხსნა და მის მთავარ ექიმად შალვა მგალობლიშვილი დაინიშნა, მიეხვდი, რომ იგი ჩემგან საპატივცემულო პიროვნების, ბატონი ბიძინას ვაჟი იქნებოდა.

მგალობლიშვილების ფუძეთა-ფუძე აბაშის რაიონის, ჩვენი უშუალო სამეზობლო, სოფელი მარანია, რითაც ამთავითვე ნათელი იყო, რომ ამ სოფლის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულის სამტრედიასა და სამტრედიელებთან საერთო ენის გამოძებნა არ გაუჭირდებოდა. მართლაც, სტუმრად მოსული მალე რაიონის მასპინძლად ისე მყარად წარმოჩნდა, რომ სამტრედიის ინტელიგენციის ცნობადი სახეების შეკრებისა და სტუმარ-მასპინძლობის ადგილად მარანში შალვას ულამაზეი კარ-მიდამო იქცა. თანაც, იმ დონეზე, რომ რაიონის კოლორიტმა პიროვნებამ, რაიონული საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა, ბატონმა ვახტანგ ნაცვლიშვილმა, მისი სეხნია შვილიშვილის, ვახოს ქორწილი მარანში გადაიხადა (შემდგომში ცნობილი კალათბურთელი, საქართველოს ნაკრების კაპიტანი).

სამტრედიაში, კერძო სახლის რამდენიმე ოთახში განთავსებული ფსიქონევროლოგიური დისპანსერი შალვას, როგორც ექიმისა და ორგანიზატორის უნარსა და შესაძლებლობას ერთგვარ ჩარჩოებში აქცევდა, რაც ჯანდაცვის სამინისტროს მხედველობიდან არ გამოჰპარვია. იგი წულუკიძეში, (ქ. ხონის) სოფელ ქუტირში, 1977 წელს მიმდინარე ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის ჯერ მშენებლობის ხელმძღვანელად, ხოლო შემდგომ მის მთავარ ექიმად ინიშნება. სადაც, 22 საქმიანობის 29 წლის მანძილზე ხილულად და ნათლად გამოვლინდა მისი ორგანიზაციული ნიჭი, როცა ტიალ მინდორზე განთავსებული საავადმყოფოს შემოგარენი, ერთგვარ "ოაზისად აქცია. მის მიმდებარე ტერიტორიაზე დამხმარე მეურნეობა ჩამოაყალიბა, სათევზე ტბორიც მოაწყო, რომელშიც მათი შესაძლებლობის ფარგლებში, საავადმყოფოს პაციენტები დაასაქმა რათადაწესებულება საკუთარი ხილ-ბოსტნეულითა და თევზეულით მომარაგებულიყო. გარდა ამისა, დაწესებულება სპეციალური სამედიცინო ტექნიკით უზრუნველყო. 750 პაციენტზე გათვლილი საავადმყოფო მალე ამიერკავკასიაში დარგის კონფერენციების ჩატარების ცენტრად იქცა, რომელსაც ხშირად საბჭოეთის მაშინდელი მთავარი ფსიქიატრი, ბატონი ჩურკინიც სტუმრობდა.

შეჭირვებულთა თანამდგომი, სამეგობროს ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, უშურველი და გულღია მასპინძელი, უტყუარი, ყველგან და ყველაფერში სიკეთის მთესველი, მართალი და საჭიროების შემთხვევაში შეუვალი, იუმორითა და შესაბამისი კეთილ ქმედებებით დაჯილდოებული _ ესაა შალვას პიროვნებაში მყარად განვითარებული თვისებები, რაც შვილებმა 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მისადმი სიურპრიზად მიძღვნილ კრებულში "დაუდგრომელი და ბობოქარი", ერთად აკინძეს... და მეც, თავს უფლებას ვაძლევ მათი მცირედი ნაწილი პირად მოგონებებთან ერთად, მკითხველამდე მივიტანო.

სოფელ იანეთში, ჩემს სტუმართა შორის მყოფმა შალვამ, მისი თანმხლები, 13-14 წლის ყმაწვილი წარმოგვიდგინა: გაიცანით, ეწრის უდედმამო ბავშვთა სახლიდანაა, ჩემი შვილობილიაო. მას შემდეგ რამდენიმე ათეული წელი გავიდა. დღეს შალვას სამეგობრო მიხეილ (მიშიკო) მგალობლიშვილს შალვას მესამე შვილად ცნობს, რომელიც ოჯახითურთ გრიგოლეთში, შალვას აგარაკზე ცხოვრობს და მისი ადგილზე არყოფნის შემთხვევაში, სტუმრებს ქართული ადათ-წესების შესაბამისად მასპინძლობს.

მრავალთა შორის შალვას პიროვნებისაგან ახლობელთა თანადგომის მაგალითად ისიც გამოდგება, როცა მეგობრის სამკურნალოდ კუთვნილი შვებულება ნაადრევად აიღო, მოსკოვში გაფვა და მდგომარეობის გაუმჯობესებამდე მასთან დარჩა.

"დღეს ცოცხალი რომ ვარ, შალვას დამსახურებაა, გულით ავადმყოფი ერევანში საოპერაციოდ წამიყვანა". _ ბრძანებს სამეგობროს ერთ-ერთი წევრი, საქართველოში საკმაოდ ცნობილი და პოპულარული პიროვნება ბატონი ზურაბ გოგოხია.

ახლო მეგობრის, ჯემალ კიკაბიძის ვაჟს ალექსანდრეს (ალიკა) მიაჩნია, რომ შალვა ბიძიას ხანგრძლივი სიცოცხლე, ჰაერივით სჭირდებათ მისი გარდაცვლილი მეგობრის შვილებს.

აკადემიკოსი თამაზ ცანავა მას სიყვარულისა და სიკეთის მთესველად, უფლისაგან მოვლენილ პიროვნებად მიიჩნევს, რომელშიც გამორჩეულადაა წარმოდგენილი გარდაცვლილ მეგობართა პატივგება და მათი ოჯახისადმი ყურადღება, რასაც მის მობილურში განთავსებული, თითოეული მათგანის, დაბადების თუ გარდაცვალების თარიღებიც ადასტურებს.

გარდაცვალების იმიტომ, რომ როგორც თავად ამბობს, ეს მათ საფლავზე გასვლას ავალდებულებს.

წიგნში მრავლადაა წარმოდგენილი შალვას მიერ სამეგობროსადმი მოწყობილი, იუმორით გაჯერებული ოინები თუ სხვა სახის სიურპრიზები, რომლებიც იმდენად კეთილგანწყობისა და პატივისცემის შემცველია, რომ მის შემოქმედის მიმართ განაწყენების ნაცვლად პატივისცემით განგაწყობს.

გვიანი ღამეა. მარანში მყოფი თბილისელი სტუმრები, მეორე დღისთვის სამსახურში ყოფნის აუცილებლობის მიზეზებით, მასპინძელს პურმარილის დამთავრებას თხოვენ. ისიც, სტუმართაგან შეუმჩნევლად, მეზეობლად მცხოვრებ "კამაზის" მძღოლს უხმობს, და... გარეთ გამოსულთ ეზოს შესასვლელ ჭიშკარში დაყრილი, ცხენისწყლიდან ამოღებული, ინერტული მასალა და მისი გასასუფთავებელი ნიჩბები ხვდებათ, ამ "შავი საქმეს" შესრულებას საკმაოდ შექეიფებული სტუმრები, ქეიფის გაგრძელებას არჩევენ.

საპირისპიროდ, როცა სტუმრების სხვა ჯგუფმა, მისი ქეიფის დამთავრების თაობაზე ყურად არ იღეს, შალვამაც იქვე კედელზე დაკიდებული თოფის გილზების ჩასაწყობი ე.წ. "პატრონტაჟი" ჩამოიღო და ჰილზები ანთებულ ბუხარში შეყარა. ამით შეშინებულებმა თავის საშველად, ლამის ერთმანეთი გადათელეს. ბოლოს კი... გაირკვა, რომ მასპინძელს ბუხარში ცარიელი გილზები შეუყრია.

შალვას განუყრელმა მეგობარმა, ხონის აფთიაქის გამგემ, გიორგი (ჟორჟიკა) საღარაძემ პარტიის რაიკომის წერილი მიიღო, რომელიც, როგორც რაიკომის წევრს, მისი სამსახურის წინ განთავსებული ლენინის ძეგლის არაფორმალებისაგან დაცვაზე პირად პასუხისმგებლობას აკისრებდა. ჟორჟიკა წერილის ავტორის ვინაობას მაშინ მიხვდა, როცა ამ დავალებისაგან გასანთავისუფლებლად მის მიერ გამართულ პურმარილზე, შალვამ ლენინის სადღეგრძელო სპეციალური სასმისით შესვა და კარგი პურმარილისთვის "დიდ ბელადს" მადლობა გადაუხადა.

სამტრედიელ მეგობრებს, მორიგი ქეიფის დროს, მისი ორიგინალურად წარმართვის მიზნით შალვამ სახლის წინ მდებარე ძველისძველი კაკლის ხეზე ასვლა შესთავაზა. კიბე მოიტანა, თქვენ ადით, მეც პურმარილს ამოვიტან და ამოვალო. საკმაოდ მძიმეწონიანი სტუმრები რის ვაი-ვაგლახით ხის განშტოებებზე განლაგდნენ, შალვამაც ხეს კიბე გამოაცალა, მის ირგვლივ გამხმარი ჩალა შემოაწყო და ცეცხლი წაუკიდა. ადვილი წარმოსადგენია ვითარება, საკმაოდ შექეიფინაბეული, შეშინებული სტუმრები, თავის გადასარჩენად, სიმაღლიდან "პანტა-პუნტით" როგორ ცვივოდნენ. გრიგოლეთში ყოფილი საბჭოეთის სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ დამსვენებლებს შალვამ სიუპრპრიზი მოუწყო და დილით, ტრადიციულად, ექვს საათზე, მთელი გრიგოლეთის გასაგონად, ყოფილი საბჭოთა კავშირის ჰიმნი "სოიუზ ნერუშიმი" ჩაურთო.

შალვას სამეგობრო არეალი მთელ საქართველოს მოიცავს. ამიტომაცაა, რომ მას ყველგან ქვეყნის კოლორიტად მოიხსენებენ. მისმა დიდმა ავტორიტეტმა განაპირობა აფხაზეთში დაღუპული მამის უპრობლომოდ გადმოსვენება და მშობლიური მარნის სასაფლაოზე, წინაპართა გვერდით დაკრძალვა. იმ მიწაზე, სადაც შალვას მიერ აგებული ეკლესიაა განთავსებული.

საამაყო და მისაბაძია ქართული ტრადიციების მატარებელი ბატონი შალვას ოჯახური გარემო. მეუღლე, მისებრ სიკეთით აღსავსე ქალბატონი სვეტა აბშილავა, რომელსაც სამეგობრო, შალვას გამძლეობისათვის" მსოფლიო ჩეპიონად მოიხსენიებს. შვილებიდან უფროსი ბიძინა ბაბუასა და მამის კვალს გაჰყვა და დღეს თბილისის ფსიქონევროლოგიური საავადმყოფოს მთავარი ექიმია. ბევრ ნიუანსებში მამის განსახიერებაა მომდევნო შვილი, პარლამენტის წევრი, პროფესიით ინჟინერი, ლევანი. უმცროსი მიხეილი (მიშიკო) მგალობლიშვილი მარანსა და გრიგოლეთში განთავსებული შალვას "სავანეთა" მფლობელი "პლანტატორია", გულო თავად შალვა, ბიძინას შვიდ შვილთა შორის ყველაზე უფროსი, და დანარჩენ ექვს და-ძმათა საამაყო და სალოცავი ხატია.

საქართველოს ყველა კუთხეში ხშირად გაიგონებთ პოეტ სიმონ გუგუნავას ტექსტზე შექმნილ ხალხურ სიმღერას:

"შალვა ჩემო სიხარულო,
სიცოცხლეზე მეტად ტკბილო,
ჟამი თავის სანუგეშოდ
ნაშობო და გამოზრდილო".

სამწუხაროდ არ ვიცი ეს ლესი საქართველოში ვის, რომელ ცნობად სახეს ეძღვნება. სამაგიეროდ, კარგად ვუწყი, რომ იგი ამ წერილის ადრესატზე მორგებული სიტყვებით საოცრადაა გაჯერებული.

გულით ვულოცავ ჩემს უმცროს მეგობარს შალვა მგალობლიშვილს 77 წლის იუბილეს. ლამაზად საცქერია გვერდიგვერდ ორი შვიდიანი, მაგრამ, მაგრამ უფრო ლამაზია ორ ცხრიანს პლუს ერთი.

ღმერთმა გვისმინოს!

ბორის ფოფხაძერავაძელი

ემიგრანტის ფიქრები

სამამლუქე ქალბატონი

დილა იწყება რიგით აბაზანის მიღებით, რიგი გარკვეული დროით და გარკვეულ დღეებში აქვთ დაწესებული ემიგრანტ ქალბატონებს, ახლა უბრალოდ ტუალეტის რიგი გამოდის და თავის მოსაწესრიგებელი. ასე რომ ვთქვათ, აუცილებლად უნდა დადგე, თორემ ოცი ქალია სამ ოთახიან ბინაში, ზოგი ფოიეში წევს, ზოგს ძილი შემოსასვლელ კართან "ლეჟანკაზე" უწევს, არაფერს დაეძებენ ოღონდ დაადგეთ საშველი და გავიდნენ სამუშაოდ. მორიგეობაა დაწესებული ბინაში, მორიგეებს წინა დღით ევალებათ საჭმლის მოსამზადებელი ერთი ევროს აკრეფა, რომ ჯამში შეკრიბონ და რამე გემრიელი მოამზადონ ხვავიანად. კერძის ინგრედიენტების რაოდენობას და მომზადების წესს დამსაქმებელი ქალბატონი ადგენს, თუ იტყვის ბადრიჯანი გათლილი გაუშვითო თლიან, თუ იტყვის არაო არ თლიან, ყველა უღიმის და ეთაყვანება ამ ქალბატონს, რაც შეიძლება მალე გაუშვას იქნება სამუშაოდ. ხუთშაბათი დღე გამოსასვლელია დასაქმებული ემიგრანტებისთვის და ვინც ამ ბინიდან დასაქმდა, ყველა აქ მოდის ხოლმე, თავის დოლიას დებს და დედოფლებივით შემოუსხდებიან სასტუმრო ოთახში გაშლილ მაგიდას, ამ დროს დაუსაქმებლები უნდა აორთქლდნენ, ან ჩაიკეტონ თავიანთ ოთახებში, ან გავიდნენ სადმე. მხოლოდ მორიგეები ემსახურებიან სტუმრებს, ასეთი "ზაკონია", როგორც იტყვიან, უნდა დაემორჩილო ან წახვიდე. აივანზე არ საუბრობენ, ადგილობრივებს აწუხებენ, უთოს და ფენს საერთოდ არ რთავენ, შუქის დიდი გადასახადის გამოისობით და რა ვიცი, ენა, უნდა იჯდე და, რვეულში თავის ჩაგვრით ისწავლო. როცა დამსაქმებელი წაიყვანს რომელიმე ქალბატონს გასაუბრებაზე პატრონის ოჯახში, როგორც იტალიელები იტყვიან "აპუტამენტოზე," როგორც გასაყიდ სამამლუქე ქართველს ისე შეჰყურებენ ბებიასა თუ ბაბუას პატრონები. დამსაქმებელი ენაზე გადაიძრობს ტყავს, აქებს და აქებს თავის ბინადარს, განა ენას დაიშურებს, ოღონდ შერგოს ოჯახში ოჯახიდან გადმოხვეწილი ქართველი. აქებს და აქებს და როცა ქება გაჭრის, უენობას წუნობენ ბატონები, ამაზეც მზადა აქვს პასუხები ქალბატონ დამსაქმებელს, მერე პირობებზე და ბოლოს ჯამაგირსა თუ გამოსასვლელ დღეებზე იწყებენ საუბარს, თუ მორიგდებიან, რჩება ეს კოჭებიდან შემოწმებული სამამლუქე თანამემამულე, ან მერე უნდა ჩავიდეს, რამოდენიმე დღეში, ან კიდევ იწუნებენ ასაკის ან უენობის გამო და ბრუნდებიან უკან. ერთი მის გულში ჩაახედა მის რომელიმე ოჯახის წევრს, რა დღეში აქვს გული, უენომ, უთქმელმა რა გააკეთოს, ვის რა უთხრას, ბებიას ან ბაბუას საიდან დაიწყოს მოვლა, მიხედვა ასე დიდი ტკივილითა თუ ტანჯვით, გაიხაროს თუ იტიროს. ამის ფიქრის მიუხედავად კარს მიუხურავს დამსაქმებელი და გულში გაიფიქრებს, ნეტა ივარგებდეს და თვის ბოლოს დამაწვდიდნენ დროულად ჩემს წილსაო და გაეშურება ბინაში, სადაც სავსეა გაღიზიანებული, დაბნეული, უენო, დამუნჯებული ქართველები. სადამდე უნდა იტიროს ქვეყანამ ამათი ცრემლებით, სადამდე უნდა იყოს სავსე სხვა ქუჩები ქართველი ემიგრანტებით, ტკივილი, ტკივილი და კიდევ დიდი ტკივილი ბუდობს ყველა ემიგრანტის გულში, ეს ტკივილი მარადიულ ცოდვად გარდაისახება და არ მოასვენებს ამ ცოდვის ჩამდენებს საშვილთაშვილოდ.

"მილე გრაციე"

ბრავო! ბრავო! უზარმაზარი ეზო უზარმაზარი სახლები, ლამაზად მოპირკეთებულ გამწვანებული მინდორი შიგ რამოდენიმე მანქანა, თავი რომელიღაც სერიალში წარმოვიდგინე, როცა ჩემმა მეგობარმა თავისი პატრონის ეზოს კარი შემიღო. ყველაფერი ეს ჩავიარეთ და გვერდით მაღალზე მდგარ ეზოს კუთხეში ბელეტაჟზე ჩვენებურად რომ იტყვიან: კუნნასავით პატარა სახლში შევედით, სტუმრად მიმიღო ამ უცხო ოჯახში ჩემმა ემიგრანტმა მეგობარმა, მისი ბებია გამაცნო, რომელსაც არც აზრი გააჩნდა და არც ფიქრი, ვინ ვიყავი მე და ღამე ვახშმობის შემდეგ ტახტზე ქათქათა თეთრეული გამიშალა, ჯერ ბებიას მიხედა და დააწვინა და მერე საღამურებიც მკლავზე გადადებული მოიტანა ჩემამდე. მსგავსი სისუფთავე არ მენახა, ისე მშვიდად დავიძინე ნამგზავრმა, დილის 5 საათამდე არ გამღვიძებია, არადა მანამდე ათასჯერ მელვიძა, მივეჩვიე ზეინაბის ბებიას, რომელიც არც აგრესიული იყო და არც მყვირალა და თავისუფლად დავიწყე სუნთქვა. პატრონები ოთხშაბათ დღეს შემობრძანდნენ სურსათ-სანოვაგით სავსე. გამიცნეს, ღიმილით დამემშვიდობნენ და ჩემი მეგობარი შეაქეს. აავსეს სიყვარულით, გაუსწორეს თვის ჰონორარი და დაემშვიდობნენ. შვილიშვილმა ანამ ჩემკენაც წამოიწია გადამკოცნა და წავიდა, დედამთილივით მანიშნებდა ზეინაბი, მილე გრაციე უთხარიო, მე ვიღიმოდი და ამოვილუღლუღებდი რაღაცას, გაღიმებული, ამ იტალიელებსაც ეღიმებოდა ჩემს საცოდავ მადლობაზე და მიკრავდნენ თავს, ყავა დაუსხიო, ცალკბად მეუბნებოდა ჩემი მეგობარი და მეც ახალი პატარძალივით ვასხავდი პატარა ერთჯერად თეთრ ჭიქებში ამ იტალიურად მოდუღებულ კოფეს, ყველაზე საოცარი დღის ფინალი იყო, ჩვენგან წასული სამი საათის მერე ბებიას შვილიშვილი ანა მესიჯს წერს ზეინაბს მოვალ და პიცას მოგიტანთო და მართლაც ერთ საათში უშველებელი პიცითა და რაღაც გემრიელობებით გვადგება კარზე და ჩემს ბადანტე დაქალს ეუბნება: საქართველოში ხომ ხაჭაპურით უნდა გამასპინძლებოდიო, აქ პიცით გაუმასპინძლდიო სტუმარსო. "მილე გრაციე", პასუხობს დამდნარი ხმით ჩემი ზეინაბი და ისევ თვალით მანიშნებს, შენაც მადლობა უთხარიო. მე ისევ გაღიმებულს, სულელივით მეცინება, თან ვფიქრობ მეგობრებზე ახლა რომ მიყურებდნენ, დაიხოცებიან სიცილით-თქო, "მილე გრაციეს" ვპასუხობ და ვკოცნი, ვემშვიდობები და აშკარად გაოცებისაგან პირი ღია გვრჩება. მართლაც ბრავო, მართლაც ბრავო, სიყვარული ყველგან შეიძლება პოვოს ადამიანმა. ამ ხალხში სიყვარული და სითბოს ასხივებდა მხოლოდ და მხოლოდ, ახლა ღამე სძინავს ჩემს ზეინაბს, მის ბებიას და ალბათ, ბებიას შვილიშვილ ანასაც და რაიცის იქნებ მასაც ეღიმება ჩემს საცოდავ ლუღლუღზე, მართლაც "მილე გრაციე", მართლაც რაა!

ეკატერინა ჭანტურია

"იარმარკობა" დიდ ჯიხაიშში

სამტრედიის ისტორიის ერთ-ერთ პირველ მემატიანედ გვევლინება ცნობილი ქართველი მწერალი მარიამ ვარიყული. როგორც ჩვენი მკითხველისთვის უკვე ცნობილია, ის იყო ძველი სამტრედიელი აზნაურის, ვასილ რატიანის ოჯახის რძალი. მან რამდენიმე წელი სამტრედიაში იცხოვრა და დაგვიტოვა საინტერესო მოგონებები ძველ სამტრედიაზე, სოფელ დიდ ჯიხაიშზე და კულაშში მცხოვრებ ქართველ ებრაელებზე.

ახლა, როცა სამტრედიის ქალაქის საიუბილეო თარიღი, 150 წლისთავი ახლოვდება, მეტად მნიშვნელოვანია როგორც ჩვენი ქალაქის, ასევე თითოეული სოფლის და დაბის ისტორიის შესახებ მასალების მოძიება და მკითხველისთვის მიწოდება. ამჯერად გთავაზობთ მარიამ ვარიყულის მოგონებას, რომელიც მის დედულეთთან, დიდ ჯიხაიშთანაა დაკავშირებული, სადაც მან ვაატარა ბავშვობის შთამბეჭდავი წლები. ვფიქრობ, დავაინტერესებთ.

ნათელა გელეიშვილი

დიდ ჯიხაიშში ცხოვრობდა თავმომწონე თავადაზნაურობა, ამასთანავე საზოგადოების მოწინავე პირები: ნიკო ნიკოლაძე, მაჩაბელი და სხვები... ამ გავლენიანი პირების და კერძოდ ნიკოლაძის მეთაურობით თუ მოხდა, რომ დიდ ჯიხაიშში დააწესეს "იარმარკობა", ოთხშაბათობით დაენიშნათ ვაჭრობა.

მრავლად მოდიოდნენ ებრაელი ვაჭრები კულაშიდან, ვანიდან, ხონიდან, სუჯუნიდან და მგონი ბანძიდანაც. სამშაბათ ღამით გამოსწევდა ვაჭარი ჯიხაიშისკენ, რომ ოთხშაბათ დილით პირველი ადგილი დაეკავებინა "კარავში". ახლომახლო სოფლებმაც დაიწყეს თავისი ნაწარმის გამოტანა ბაზარზე. გამოჰყავდათ ძროხა, ცხენი, ცხვარი, თხა, ქათამი, ბატი და ინდაური. გამოჰქონდათ კვერცხი, ყველი, ოჯახის ნაწარმი, საჩოხე შალი, ხამი (ბამბის ნაწარმი) დარაია, ბადური ხონჯრები, ფუთქი და სხვა მრავალი რამ.

ყველაფერი ეს სოლომონ ჩხეიძის ეზოში მოეწყო. გაკეთდა ეს ოჯახი, _ "კაი მეხი დაეცა სოლომონსო", _ იტყოდნენ სოფელში. ამ თავადს თექვსმეტი ვაჟი ჰყავდა და სამი ქალიშვილი. დღესაც მახსოვს "კნეინა" გოგოია ლორთქიფანიძის ასული, არაფრით არ ჰგავდა იმერელ ქალს. შავგვრემანი, მუხასავით მრგვალი, ჩასუქებული, რომელიმე ვაჟიშვილის ქუსლჩათელილ წუღაში ფეხჩადგმული, ისე შილიფად და თავისუფლად გამოვიდოდა ბაზარში, ვითომ მილეთ ხალხში კი არა, თავის ბოსტანში ჩასულიყოს.

მართლაც და, ღარიბი თავადისთვის ხუმრობა როდი იყო ამდენი შვილის გამოკვება. ამბობდნენ, გოგოია ვახშმობის დროს ითვლის შვილებს, ყველა თავმოყრილი ჰყავს თუ არაო. რა თქმა უნდა, ძლიერ უჭირდა ამ თავადს და მის მამულზე ბაზრობის გახსნა ცით მოვლენილ მანანას ჰგავდა.

სოლომონის ვაჟები მგლებივით ბიჭები იყვნენ, თოფრაკით ხელში ჩამოურბენდნენ ვაჭრებს, აკრეფდნენ მიწის ხარკს, ვერცხლისა და სპილენძის ფულით გაავსებდნენ ყულაბებს. არც სოფლის ნაწარმს სტოვებდნენ უყურადღებოდ. ქათმითა და გოჭებით გაივსებოდა საქათმე თუ საღორე, ყველსა და კვერცხს ხომ ანგარიში არ ჰქონდა. წელში გაიმართნენ და სახლის კაცები კი არა, მგონი ანდრია მღვდელიც შენატროდა მათ ბედს. ყოველი ოთხშაბათი დოვლათით ავსებდა ამ თავადის ოჯახს.

აღებ-მიცემობამ სწრაფი ცვლილება მოახდინა სოფელში. გაიხსნა სავაჭრო დუქნები, ფურნეები, აფთიაქი, საავადმყოფო ქსენონი, ბანკი, ბამბის საპენტი ფაბრიკა, დასხდნენ თერძები და მეჩექმეები. იანეთის ბაქანზე მიმომსვლელი ტრანსპორტი გამრავლდა. გავიდა დრო ჯიხაიშის ორკლასიან სამინისტრო სკოლას მიემატა ოთხკლასიანი "ნორმალური სასწავლებელი". ამასთან დაკავშირებით მასწავლებელთა რიცხვიც გაიზარდა, გაჩნდა ინტელიგენცია, გახსნეს ბიბლიოთეკა _ სამკითხველო, გამოჩნდნენ სცენის მოყვარულები, მათ მოჰყვნენ უჩინარი დრამატურგები და მე პირველი წარმოდგენა ჯიხაიშის სკოლაში ვნახე. ამ დროს დიდი ჯიხაიში უკვე ერთ-ერთ კულტურის კუთხედ ითვლებოდა.

მარიამ გარიყული
ტომი 2. გვ. 301-303

სპორტი

გიორგი ვაშაკიძის წარმატება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერითა და აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრის ორგანიზებით, თბილისში, ვაკის ძალოსნობის დარბაზში ჩატარდა აფხაზეთის ღია ჩემპიონატი ძალოსნობაში, რომელშიაც ჭაბუკი ათლეტები მონაწილეობდნენ.

საპრიზო ადგილებზე გასულთა შორის გახლავთ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის მკვიდრი, იანეთის საჯარო სკოლის მოსწავლე გიორგი ვაშაკიძე, რომელმაც 89 კილოგრამ წონით კატეგორიაში იასპარეზა და დამაჯერებლადაც გაიმარჯვა.

მედლებით, დიპლომებითა და თასებით დაჯილდოვდნენ საპრიზო ადგილებზე გასულები. გამარჯვებულებს ჯილდოები აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრის დირექტორმა, ენვერ თოლორდავამ გადასცა.

აღიარებას ვულოცავ ჩემს თვალწინ დავაჟკაცებულ გიორგის, მის მშობლებს, მწვრთნელს, ბატონ კახა ისირელს და კვლავ წარმატებას ვუსურვებთ მომავალ ასპარეზობებში.

აქვე დავსძენთ, სასიხარულო და საამაყოა, რომ სამტრედიელი ახალგაზრდები სპორტის სხვადასხვა სახეობებში აქტიურად არიან ჩართულები და სასურველ შედეგებსაც აღწევენ.

ლევან გაბეჩავა

ახალი ლექსები

***
შუადღე გადასულხარ
მკრთალი ვერცხლისფერი, ჩუმი,
დაგფენია ლანდების თვალებს,
როგორც სიმღერის ბოლოს
გულში სევდასავით,
ისე ამოგსვლია ელამი მთვარე...
შუადღე გადასულხარ, შუადღე გადასულხარ,
ბოდიშით, თუ გაწყენინეთ რამე...
***
შუადღის ჩრდილი
ვით ქალიშვილი წამოწოლილი _
შვილი ღიმილის ლანდების...
ყვავილის ცრემლებია წითლად დადინება.
ზაფხულის ასე დატირება არ მინახია
თავისი გარდაცვალების.
ესაა შემოდგომა...
***
ტოტიდან ბალღის პირველი სიტყვა
კვირტივით გამომძვრალა.
თითქოს კვირტიდან ყვავილივით _
სიტყვიდან დედა...
***
ამ ლექსს ვაყოლებ ახლა
განა გულს,
და იქნებ ღმერთი
ახლა შენს ცაზე ჩაბრძანებულა.
მე დავღამდები ამ წუთში ახლა
და დავასიზმრებ შენს თავს გაზაფხულს...
ამ ლექსს ვაყოლებ ახლა განა გულს
და იქნებ ღმერთი ახლა
შენს ცაზე ჩაბრძანებულა...
***
შენ რომ დამალობანას
გეთამაშებოდა
ახლა ის დაიხუჭა წამით.
შენმა ღიმილმა, ბარტყივით
დამფრთხალმა, უცებ
ჩემს თვალის შავ გვირაბებში
შეაფარა თავი.
***
გაზაფხულს შენი ღიმილი
გადასდებია,
ჩემი გამოხედვით დამფრთხალი
მაისს კვირტი ხიჭვივით ჩასობია
და მზემ თავისი ნემსით ამოუღო
ტკბილი კახამბალი.
გაზაფხულს შენი ღიმილი
გადასდებია,
ჩემი გამოხედვით დამფრთხალი.
***
აქა ვარ, თითქო ოდნავ გამიბრაზდა,
დედა რომ დავიძახე და ცრემლი გადმომცვივდა.
ყვავილმა გამომხედა და დედა ვერ ვიცანი,
საშინაო ხალათით რომ გამოვიდა...
აქა ვარო, თითქო ოდნავ გამიბრაზდა
დედა რომ დავიძახე და ცრემლი
გადმომცვივდა...
***
ნაწვიმარ მოლზე მიწის გორაკიდან
მატარებელივით გამოძვრა ჭია...
***
თურქეთის მიწაზე
პატარა ყვავილზე
ფეხი რომ დაგებიჯა
რატომ მოიხედე?
შენს ტერფქვეშ მოყოლილმა
პატარა იამ
ვაი, ნანაო, ხომ არ გაგაგონა?..

ემილე თოფურია

სპორტი

ჩემპიონობის ბედი ბოლო ტურში გადაწყდა

საქართველოს 31-ე ეროვნული ჩემპიონატის ''კრისტალბეთ ეროვნული ლიგის'' გუნდებს შორის გამარჯვებული ფეხბურთში გახდა ქართული ფეხბურთის ფლაგმანი და საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი საფეხბურთო კლუბი თბილისის ''დინამო'', რომელმაც ბოლო ტურში თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ''დინამო არენაზე'' ანგარიშით 2 : 0 დაამარცხა ლიგიდან ვადაზე ადრე გავარდნილი თანაქალაქელთა გუნდი ''ვიტ ჯორჯია'' და თავისი ისტორიის მანძილზე სამწლიანი პაუზის შემდეგ მეჩვიდმეტედ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული. მეორე და მესამე საპრიზო ადგილებზე 70-70 ქულით გავიდნენ ბათუმის ''დინამო'' და გასული წლის ჩემპიონი თბილისის ''საბურთალო''. მეოთხე ადგილი კი, 55 ქულით დაიკავა თბილისის ''ლოკომოტივმა''.

საუკეთესო ბომბარდირის წოდება 20 გატანილი ბურთით პირველად მოიპოვა თბილისის ''დინამოს'' ფეხბურთელმა, ლევან კუტალიამ.

ამრიგად თბილისის ''დინამო'' საქართველოს სახელს გაისად დაიცავს ''უეფას'' ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე, ხოლო ''უეფას'' ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თავიანთ ძალებს მოსინჯავენ ბათუმის ''დინამო'', თბილისის ''საბურთალო'' და თბილისის ''ლოკომოტივი''.

წარმატებას ვუსურვებთ ჩვენ გუნდებს ევროპულ სარბიელზე.

საპასუხო შეხვედრების წინ

დასრულდა საქართველოს 31-ე ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში ''კრისტალბეთ ეროვნული ლიგა 2-ის'' გუნდებს შორის. ჩემპიონატში პირველი ადგილი დიდი ხნით ადრე მოაგროვა თბილისის ''მერანმა''. მან 81 ქულით ვადაზე ადრე გაინაღდა ეროვნული ლიგის საგზური. მეორე საპრიზო ადგილი 74 ქულით დაიკავა სამტრედიის ''სამტრედიამ'', რომელმაც 30 ნოემბერს უმასპინძლა ქობულეთის ''შუქურას'' და გაიმარჯვა ანგარიშით 2 : 1. მესამე საპრიზო ადგილი კი 63 ქულით დაიკავა თელავის ''თელავმა''.

ამრიგად ეროვნული ლიგის საგზურის მოსაპოვებლად პლეი-ოფის პირველი მატჩები ჩაატარეს სამტრედიის ''სამტრედიამ'' ეროვნული ლიგის მეცხრე ადგილოსანთან ბოლნისში, ადგილობრივ ''სიონთან'', რომელიც ფრედ _ 0 : 0 აღინიშნა. ხოლო თელავის ''თელავმა'' მინიმალური ანგარიშით 1 : 0 მოუგო ეროვნული ლიგის მერვეადგილოსან რუსთავის ''რუსთავს''.

საპასუხო შეხვედრები გაიმართება 11 დეკემბერს სამტრედიაში და რუსთავში.

აღნიშნული შეხვედრები ჩატარდება ერთი და იმავე დროს 13 საათსა და 30 წუთზე.

მეექვსედ

2 დეკემბერს საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში გაიმართა 2019 წლის საუკეთესო ფეხბურთელის დაჯილდოების ცერემონია. პოპულარულმა და ავტორიტეტულმა სპორტულმა გამოცემამ ფრანგულმა ჟურნალმა ''ფრანს ფუტბოლმა'', გამოავლინა წლევანდელი ''ოქროს ბურთის'' მფლობელი, რომელიც მეექვსედ ''ბარსელონასა'' და არგენტინის ეროვნული ნაკრების 32 წლის კაპიტანმა ლიონელ მესიმ მოიპოვა, რაც სარეკორდო მაჩვენებელია.

''უეფამ'' მიმდინარე წლის საუკეთესო ფეხბურთელად ''ლივერპულის'' ჰოლანდიელი მცველი ვირჯილ ვან დეიკი დაასახელა, ხოლო ''ფიფამ'' წლის საუკეთესო ''ბარსელონას'' არგენტინელი თავდამსხმელი ლიონელ მესი აღიარა.

იორამ ნიკოლეიშვილი

ქართული პოეზიის დედოფალი

ანა კალანდაძის საიუბილეოდ

რა უნდა იყოს იმაზე მეტი ბედნიერება პოეტისათვის, რომ მისსავე სიცოცხლეში ხალხმა სასიმღეროდ აქციოს მისი სტრიქონები. პოეტი ანა კალანდაძე უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით იყო გარემოსილი საზოგადოებისაგან.

ლაღია და სულშიჩამწვდომი, უშუალო და ამაღლებული პოეტის სტრიქონები.

მარიამ დედოფლის ფრესკასთან

სიბრძნით ნაშუქი შენი თვალები
კვლავ სასოებას შენეულს გვფენენ.
გარდასულ ჟამთა სიღრმეებიდან
ზარივით რეკავს გულისთქმა შენი.
უნდა შეკეთდეს სვეტიცხოველი,
აღდგეს ქართული წესი და რიგი,
უნდა ისმოდეს ქართული სიტყვა,
გადაიწეროს ქართული წიგნი!
მშვიდობა ბრძანეს _ გამეჩხრდა ქართლი:
ძვირად გვიჯდება სისხლის ტბორები...
ვინ, თუ არა შენ, უწყის, რომ იგი
ქვეყნის დაღლილ სულს ეამბორება?
სიბრძნით ნაშუქი შენი თვალები
კვლავ სასოებას შენეულს გვფენენ.

***

იშრიალე დიდო ვერხვო,
იგუგუნე დედამიწავ!
გაიშალა ფოთლის ეხო,
ყვავილები გაალვიძა...
ტყევ, დუმილი გვეყო, გვეყო
მკვდარი არი, დღეს დუმს ვინცა...
იშრიალე დიდო ვერხვო,
იგუგუნე დედამიწავ!

15 დეკემბერს 95 წლისა გახდებოდა ქართული პოეზიის დედოფალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, პოეტი ანა კალანდაძე (1924-2008 წ.წ.)

ლევან გაბეჩავა

ბაჩო შათირიშვილი ოჯახით ღრმა გულისტკივილით თანაუგრძნობს მანანა თელიას, ოთარ, გოჩა, ნინი და ნიკა თევზაძეებს, სოფიკო ჯვარშეიშვილს, თელიებისა და დუნდუების ოჯახებს უსაყვარლესი შვილის, ძმის, მეუღლის და შვილიშვილის

გია თევზაძის

უდროოდ გარდაცვალების გამო.

ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა სამტრედიის რაიონული კავშირ,ი თანაუგრძნობს თემურ თავაძის ოჯახს, სიძის

ვასოს

გარდაცვალების გამო.

მაყვალა ჩირგაძე ოჯახით თანაუგრძნობს შენგელიების ოჯახს, ბატონი

გურამ შენგელიას

გარდაცვალების გამო.

მეგალოდონი _ ზვიგენთა ყველაზე საშინელი სახეობა!

დედამიწაზე 400-ზე მეტი სახეობის ზვიგენი ბინადრობს. მეგალოდონი არის გადაშენებული ზვიგენის სახეობა, რომელიც ცხოვრობდა 28 მილიონი წლის წინ. დღეს მეცნიერები ბევრს მსჯელობენ იმაზე, თუ როგორ გამოიყურებოდა ეს ზვიგენი. ბევრი თვლის რომ ეს ზვიგენი წინაპარია დღევანდელი თეთრი ზვიგენისა და თეთრი ზვიგენის მეგალოდონის მინიატურული ასლია. თუ ნაპოვნ ძვლებს გავითვალისწინებთ, მეგალოდონის სიგრძე 22-დან 28 მეტრამდე მერყეობს, ხოლო წონა 50-დან 60 ტონამდე. მეგალოდონი ძირითადად ოკეანის ბინადრებით იკვებებოდა. ერთი ვეშაპი, მისთვის რამოდენიმე დღის საკვებს წარმოადგენდა. პრეისტორიული ზვიგენი, თავის ეპოქის არა მხოლოდ გიგანტი, არამედ ერთ-ერთი ყველაზე საშინელი მტაცებელი იყო. მონაცემებით აღემატებოდა როგორც თანამედროვე დიდ თეთრ ზვიგენს, ისე მაშინდელ რეპტილიებს _ ლიოპლევროდონსა და კრონოზავრს. მიუხედავად იმისა, რომ მილიონობით წლების წინ უზარმაზარი ცხოველების არსებობა გასაკვირი არაა, ეს სახეობა მაინც განცვიფრებას იწვევს თავისი ზომისა და შესაძლებლობების გამო. მეგალოდონის სახელი ნიშნავს "დიდკბილებას". ამ სახელს ოკეანის გიგანტი ნამდვილად იმსახურებდა, რადგან მისი კბილების სიგრძე 20 სანტიმეტრამდე აღწევდა. დღევანდელ თეთრ ზვიგენთან თუ შევადარებთ, ძალიან დიდი განსხვავებას შევნიშნავთ, რათა თეთრი ზვიგენის ეშვების მაქსიმალური სიგრძე 809 სანტიმეტრია. აქედან გამომდინარე, მეგალოდონის კონკურენტის მოძებნა უფრო ადრე, ტირანოზავრების ეპოქაში იყო შესაძლებელი, თუმცა 65 მილიონი წლის წინ მეგალოდონების არსებობა არ არის დამტკიცებული. დღეს რომ მეგალოდონები არსებობდნენ, მარტივად შეძლებდნენ ნებისმიერი ნავის გადაყლაპვას, ან გემის ჩაძირვას. უცნობია თუ როგორ გადაშენდნენ მეგალოდონები, თუმცა არსებობს რამოდენიმე თეორია.

პირველი თეორიის თანახმად, მეგალოდონები ძირითადად ვეშაპებით იკვებებოდნენ, ამიტომ ისინი სულ ვეშაპებს დაჰყვებოდნენ. პრეისტორიული ვეშაპის რაოდენობის შემცირებამ გამოიწვია მეგალოდონების გადაშენებაც.

მეორე თეორიის თანახმად, მეგალოდონების გადაშენების მიზეზი გლობალური გაცივება გახდა.

კიდევ ერთი თეორიის თანახმად, მეგალოდონების გადაშენების მიზეზი ვულკანური აფეთქებებია!

ადამიანთა გარკვეული კატეგორია თვლის, რომ მეგალოდონი ჯერ კიდევ არსებობს ოკეანის სიღრმეებში, თუმცა ამის მეცნიერული მტკიცებულება არ არსებობს.

ალექსი აბლიძე

ასეთია ჩვენი ბედი,
სულ ერთად ვართ მე და გედი,
ამ ბოლო დროს ხშირად მკოცნის,
იმედი აქვს ოცი ოცის.

ამბავნარი

ქრიზანთემის ყვავილის ფურცლებისაგან იაპონიაში სალათს ამზადებენ და სიამოვნებით მიირთმევენ.

***

ჟირაფს არა მარტო კისერი აქვს გრძელი, არამედ ენაც, მისი სიგრძე 60 სანტიმეტრს აღწევს.

***

ბაჭიები თვალხილულები იბადებიან.

***

მთაზე 2 ათას მეტრ სიმაღლეზე ასვლა უდრის სწორ გზაზე 30 კილომეტრის გავლას.

***

მსოფლიოში ყველაზე უძველესია ასურეთის მეფის ასურბანაპალის ბიბლიოთეკა, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეშვიდე საუკუნეში დაარსდა.

***

ჩრდილოეთის ღალღას შეუძლია შეუსვენებლად 3000 კილომეტრის გადაფრენა, ხოლო მეჭვავიას _ 3400-4000 კილომეტრისა.

***

დედამიწაზე არსებული გველების 2000 სახეობიდან ადამიანისათვის საშიში არ არის 1400-მდე სახეობა, ანუ 70%.

***

მთელი კაცობრიობის ისტორიაში არსებულ მეცნიერთა რიცხვიდან 90 პროცენტი ჩვენს დროში მოდის.

***

ბევრი ხე ძალიან დიდხანს ცოცხლობს, მაგალითად: ვერხვი აღწევს 300, თელა _ 365, არყის ხე _ 575, ცაცხვი _ 1100, ხოლო მუხა _ 1800 წელს.

***

თოლია ბუდეს არ იშენებს, ის კვერცხს ქვიშაში დებს.

***

ზღვის ვეება ძუძუმწოვარ ცხოველს _ კაშალოტს შეუძლია წყალქვეშ 160 წუთი დაჰყოს, იგი ჩაყვინთვის წინ 60-70 ჯერ ჩაისუნთქავს და ამოისუნთქვას ხოლმე.

***

ერთი წყვილი ჭიანჭველა თავიანთი შთამომავლობით წელიწადში დაახლოებით 120 მილიონ მწერს ანადგურებს, მათ შორის 150 ათასამდე მუხლუხს.

***

მეცნიერები დაკვირვების შედეგად მივიდნენ დასკვნამდე, რომ მიმოზა მაშინ უფრო სწრაფად იზრდება, როცა მუსიკას "ისმენს".

***

ყველა სპილო ახლომხედველია.

ფეკრიბა ლევან გაბეჩავა

ვულოცავთ!



ხატია სანიკიძესა და ავთანდილ არველაძეს ვულოცავთ ბედნიერებას. შვილთა სიმრავლესა და გაუხუნარ სიყვარულს გისურვებთ. გამრავლდით, იხარეთ, იდღეგრძელეთ.

ბიჭა მერაბ ჩაჩავა

ტასო მამალაძესა და სანდრო ცხვარაძეს!

ჩვენს მეგობრებს, ტასო მამალაძესა და სანდრო ცხვარაძეს დიდი სიყვარულით ვულოცავთ დაბადების დღეს. სწავლაში ბეჯითობა დაებედოთ, ჯანის სიმრთელე არ მოჰკლებოდეთ. ულრუბლო ცაზე მზედ გეკაშკაშოთ ბედნიერებსა და წარმატებულებს. ჩვენი სკოლისთვის, საკუთარი ოჯახებისა და ქვეყნისთვის საამაყოები გაზრდილიყვნენ.

მესამე საჯარო სკოლის პირველკლასელები და კლასის დამრიგებელი მარეხ თევზაძე

რედაქციის მისამართი:
საქართველო, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 599 02 41 11

მაცნე
საქართველოს

დირექტორი	ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი	ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი	თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი	ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული გრაფიკა	მაკა პაპავა